პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და საქის ორგანო

№ 85 (5186) | ხუთშაბათი, 14 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ელსადგურების მუშაობა (მთავარი)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვ.)

ოპერა „ნერგიზის“ დიდი წარმატება (1-ლი გვ.)

აბჰარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე (1-ლი გვ.)

საბჭოთა ბეჭდვის უნიჰილესი პოეტი (1-ლი გვ.)

აკ. ნუცუბიძე — ჩეხოსლოვაკია და გერმანიის ფაშიზმი (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება: — პრ. რატიანი — რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორები; ბრ. ჩაჩიბაია — ტასტრობებს დაშვებულ შეცდომებს. (მე-3 გვ.)

იაპონელთა პროვოკაცია, რომელიც ბარცხით დამთავრდა (მე-4 გვ.)

იაპონიის თვითმფრინავის დაკავება საბჭოთა ტერიტორიაზე (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

დალადიეს მთავრობის დეკლარაცია (1-ლი გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.)

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ელსადგურების მუშაობა

1920 წლის ნოემბერში მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე დიდი ლენინი, ახასიათებდა რა ელექტროფიკაციის როლს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ლაპარაკობდა: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

ამიტომ იყო, რომ ელექტრომშენებლობის ფრონტზე მოპოვებული სულ მცირედი გამარჯვებაც კი მასში იწვევდა უდიდეს სიხარულსა და აღფრთოვანებას, ამიტომ იყო, რომ რუსეთის ელექტროფიკაციის პირველ გეგმას, რომელსაც ამხანაგი სტალინი ახასიათებდა როგორც ნამდვილად მთლიან და ნამდვილად სახელმწიფოებრივ და სამეურნეო გეგმას, დიდმა ლენინმა პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

1921 წელს რუსეთის ელსადგურების სიმძლავრე 12 ათასი კილოვატით გაიზარდა. თანამედროვე თვალსაზრისით ამ უმნიშვნელო ზრდაში გენიალურმა ლენინმა დაინახა დიდმნიშვნელოვანი დასაწყისი, ის, რომ „რუსეთი არ შეჩერდება ხელით შრომაზე, არ დარჩება თავისი პრიმიტიული ხის კავით, არამედ წავა წინ, სხვა დროებისაკენ“.

მას შემდეგ განვლო 18 წელმა. საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე შეიქმნა მძლავრი ელექტრომეურნეობა, აშენდა მსოფლიოში უდიდესი ელექტროცენტრალები, თითქმის 17,5-ჯერ გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ელექტრომშენებლობის დარგში უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ორდენოსანმა საქართველომაც. აშენდა ზაჰესი, რიონჰესი, აწჰესი, მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის უფრო მცირე სიმძლავრის ელსადგურები (აბჰესი, ალაზანჰესი, რიცჰესი და სხვ.). ომის წინადროინდელი საქართველოს ელექტროენერგეტიკის სიმძლავრე 8 ათასი კილოვატით განისაზღვრებოდა. საბჭოთა საქართველოში ამჟამად მომქმედი ელექტროსადგურები 159 ათასი კილოვატის სიმძლავრეს ანვითარებენ.

ამრიგად, საქართველოს ელექტრომეურნეობის მუშაკებმა ელექტრომშენებლობის დარგში საამაყო შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ელექტროსადგურები დღემდე ვერ მუშაობენ ისე, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს სახალხო მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

გასულ წელს საქართველოს ელექტროსადგურებში მოხდა 55 ავარია, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე 1936 წელს. ავარია ელექტრომეურნეობის დაუძინებელი და ყველაზე სახიში მტერია. მას უდიდესი დეზორგანიზაცია შეაქვს ელსადგურთა მუშაობაში, შეუძლებელს ხდის მათ უწყვეტ და ნორმალურ ექსპლოატაციას და, მაშასადამე, მეტისმეტად აბრკოლებს სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეს.

ავარია თავისთავად არ ხდება, უმრავლეს შემთხვევაში ის გამოწვეულია კლასობრივი მტრის მოქმედებით, ელსადგურების მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის უხეში დარღვევით, ექსპლოატაციის ტექნიკური წესების დაუცველობით. აღრიცხულია, რომ შარშან მომხდარი ავარიების დაახლოებით 30 პროცენტი გამოწვეული იყო ჩვენი ელსადგურთა ტექნიკური პერსონალის მიზეზით, მისი დაუდევრობითა და უდისციპლინობით.

ელსადგურთა ტექნიკური ექსპლოატაციის გაუმჯობესებისა და ავარიულობის მკვეთრად შემცირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეგატებისა და დანადგარების დროზე ჩატარებულ კაპიტალურ რემონტს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში ამ მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვანი ყურადღება ექცეოდეს.

საკმაოდ დამაკმაყოფილებელი არ არის აგრეთვე გამომუშავებულ ელექტროენერგიის ხარისხი. გასულ წელს მომხმარებელს ხშირად აწვდიდნენ ან გადამეტებული ძაბვის ანდა დაბალი სიხშირის ელექტროდენს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა თბილისის ელექტროქსელში, სადაც ელექტროდენის ძაბვა საღამოს 120 ვოლტიდან 70 ვოლტამდე ეცემა, ხოლო თელასის ხელმძღვანელებმა, მიუხედავად ამისა, დღემდე ვერ მოაწესრიგეს ცალკეული ტრანსფორმატორების თანაბარი დატვირთვა.

ამ მიზეზით თბილისის ელქსელში ელენერგიის დანაკარგი ხშირად 20 პროცენტს აღწევს, რაც წელიწადში 30 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს.

ბოლოს, ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას ელექტროენერგიის განაწილებისა და მოხმარების ორგანიზაცია საქართველოში. აქ მთავარია ის, რომ ელექტროტევად საწარმოთა ზოგიერთ ხელმძღვანელებს დღემდე ვერ შეუგნიათ ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

ხელგაშლილობა ელექტროენერგიის ხარჯვაში ანტისახელმწიფოებრივი ქმედობაა, და მას სასტიკად უნდა ებრძოდნენ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ზოგჯერ პირდაპირ საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე. გასულ წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ გადახარჯა 14 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, და ამით გააღარიბა ისედაც დაძაბული ელექტრობალანსი.

მთელ რიგ შედარებით მსხვილ სამრეწველო ობიექტებში (26 კომისრის სახელობის, სპილენძის სატყეო და სხვა ქარხნები) დამუშავებულიც არ არის მათი ელექტრომეურნეობის რეკონსტრუქციის ტექნიკური პროექტები, მათი ელექტროქვების უბრალო სქემაც კი.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ელექტრომეურნეობა გაძლიერებულია საქმის მცოდნე და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული მუშაკებით. ჩვენი ენერგოსისტემის ცალკეულ ელსადგურებში ბლომად არიან ისეთი სტახანოველები, რომლებმაც გვიჩვენეს სოციალისტური შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშები და საქმით დაამტკიცეს, რომ თუ კი არის შეგნება, დისციპლინა, სურვილი და მონდომება, შეიძლება ელსადგურების უავარიო მუშაობა.

14-20 მარტს, მოსკოვში მძიმე მრეწველობის სახკომის ამხანაგ ლ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით ჩატარდა ელექტროსადგურებისა და ელქსელის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი, რომელზედაც დასახულ იქნა ელექტრომეურნეობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, მავნებლობის შედეგების დაუნდობლად აღმოფხვრით, ავარიების მოსპობით, კაპიტალური რემონტის მართებული ორგანიზაციით, მძიმე მრეწველობის რკინისებური სახკომის ლ. კაგანოვიჩის მითითებათა ურყევი გატარებით საქართველოს ელექტრომეურნეობის ხელმძღვანელებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაკებმა უნდა შესძლონ ჩვენი ელსადგურთა მუშაობის გადაჭირით გაუმჯობესება, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებენ ისინი ღირსეულად შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც მიმდინარე წელს დასახულია მათ წინაშე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურის დამოუკიდებელი მეცადინეობის დღეების, წარმატებათა შეფასებისა და სწავლების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გააუქმეს უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული დღეების გამოყოფა სტუდენტთა ეკრეთწოდებული დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის სასწავლო დღეთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე, როგორც ისეთი ღონისძიება, რომელმაც ვერ ჰპოვა გამართლება.

სსრკ სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს, რომ გამოსასვლელი დღის გარდა, ყველა დღეს სტუდენტთა სასწავლო მეცადინეობა სათანადო სასწავლო ცხრილით უნდა წესრიგდებოდეს.

მომავალი სასწავლო წლიდან გადაწყვეტილია ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულ იქნას სტუდენტთა წარმატების შეფასებათა ოთხი ხარისხი (ნიშნები): „არადამაკმაყოფილებელი“, „საშუალო“, „კარგი“ და „ფრიადი“.

სსრკ სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს უმაღლეს სასწავლებლებში არ დაუშვან ფიზკულტურის სწავლება სამეცადინო დღის შუადროს. საერთო საცხოვრებლების სავალდებულო დილის ვარჯიშს გარდა, ფიზკულტურის სწავლება უნდა სწარმოებდეს მეცადინეობის უკანასკნელ საათებში, სასწავლო ცხრილის მიხედვით, სტუდენტთა სწავლების პირველ ორ კურსზე.

ახალი სასწავლო წლიდან გადაწყვეტილია შემცირდეს ფიზკულტურის სასწავლო საათების რაოდენობა. (საკდესი).

ვლ. მაიაკოვსკი

ოპერა „ნერგიზის“ დიდი წარმატება

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. დ. ბაგიროვი

საღამოს 11 აპრილს დიდი თეატრის ფილიალში წარმოადგინეს კომპოზიტორ მუსლიმა მაგომაევის ოპერა „ნერგიზი“—პირველი აზერბაიჯანული ოპერა საბჭოთა თემაზე. ოპერა „ნერგიზმა“ მაყურებელს გადაუშალა აზერბაიჯანის ხალხის ბრძოლის ერთერთი ეპიზოდი 1920 წელში მუსავატელების სისხლიანი ბატონობის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ აზერბაიჯანი უცხოეთის იმპერიალიზმის კოლონიად გადაექციათ.

მაგომაევის მიერ შექმნილი ოპერა სავსეა ორიგინალური, სახალხო მუსიკისა და სიმღერებით წარმოშობილ ჭკრიალა მელოდიებით.

მთავარი როლების შემსრულებელთა შორის სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ: აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ქალი შევკეტ მამედოვა, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტები გ. ა. გაჯი ბაბაბეკოვი, მ. ტ. ბაგიროვი, მსახიობები: იაკუბ რიზაევი, აჯარ სულთანოვი და სხვები. განსაკუთრებული წარმატება ერგო აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტ ქალს შევკეტ მამედოვას, რომელმაც აზერბაიჯანის ხალხის თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის ატმოსფეროში ჩაძირული ოპერის მთავარი მონაწილის ვაჟკაცური და გულადი ქალიშვილის დაუვიწყარი სახე შეჰქმნა.

სპექტაკლი დიდის წარმატებით ჩატარდა. ხშირად გაისმოდა დარბაზში მჭუხარე ტაშისცემა.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. დ. ბაგიროვი.**

ოპერის დასრულების შემდეგ მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ სპექტაკლის მონაწილეთ და გაუმართეს მათ მჭუხარე ოვაციები. (საკდესი).

დალადიეს მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). დღეს საღამოს დეპუტატთა პალატაში დალადიემ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია. „ყველა პრობლემები — საფინანსო, ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური, — განაცხადა დალადიემ, — მჭიდროდ არიან დაკავშირებული ჩვენი უშიშროების პრობლემასთან. ნაციონალური დაცვა მოითხოვს ჯანსაღ ვალუტას, ჯანსაღ ფინანსებს და აგრეთვე მტკიცე ეკონომიკას“.

გაბაცხადა რა შემდეგ, რომ „ყველა კონფლიქტი შესაძლებელია მოგვარებულ იქნას არბიტრაჟის გზით“, დალადიე მოუწოდებდა მუშებსა და მეწარმეთ „პატრიოტიზმისა და სიფრთხილის დაცვისაკენ“. მუშებმა, — ნათქვამია დეკლარაციაში, — არ უნდა დაიკავონ საწარმონი, ხოლო „მეწარმეებმა მთელი ლოიალობით უნდა შეასრულონ სოციალური კანონმდებლობა“.

„მთავრობა, რომელიც მხოლოდ დამხოლოდ ნაციონალურ ინტერესებზე ზრუნავს, — ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში, — დაუყოვნებლივ განდევნეს საზენიტო ბატარიების ცეცხლით.

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნებისა და მოკლე შესვენების შემდეგ დეპუტატთა პალატამ 576 ხმის უმეტესობით 5-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა დალადიეს მთავრობას.

დალადიეს მთავრობის საფინანსო კანონპროექტი

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). მთავრობის მიერ დეპუტატთა პალატაში შეტანილი საფინანსო კანონპროექტი შეიცავს ერთ მუხლს. „მთავრობას სრული რწმუნება ეძლევა 1938 წლის 31 ივლისამდე დეკრეტების გამოცემის გზით, რომელთაც მინისტრთა საბჭო ამტკიცებს, მიიღოს მისი თვალსაზრისით საჭირო ზომები, რათა უზრუნველჰყოს ნაციონალური დაცვის საქმე და გააჯანსაღოს ქვეყნის ფინანსები და ეკონომიკა. ეს დეკრეტები წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად საგანგებო სესიის დროს და არაუგვიანეს 1938 წლის 31 დეკემბრისა“.

ამ კანონპროექტს დეპუტატთა პალატა განიხილავს დღეს საღამოს მოგვიანებით. ხვალ საღამოს მას განიხილავს სენატი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით)

ალმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

მდინარე სეგრეს ხაზზე რესპუბლიკელებმა შეტევა დაიწყეს გრანხა დე ესკარპეს და სეროსის (ლერიდიდან სამხრეთ-დასავლეთით) რაიონში. მორელიას (მდინარე ებროს სამხრეთით) სექტორში მტერს წაართვეს სოფელი ვალიბონი და დაკავებულია რამდენიმე სიმაღლე. ამ სექტორში ბეამბოხებმა და ინტერვენტებმა თავი მოუყარეს რჩეულ ნაწილებსა და სამხედრო ტექნიკის მძლავრ საშუალებებს. მაგრამ იტალიის დივიზიათა ყველა ცდა, რომ განეგრძოთ შეტევა, უშედეგო აღმოჩნდა. რესპუბლიკელები განუწყვეტელი კონტრშეტევებით ჰბოჭავენ ინტერვენტთა მოქმედებას და აიძულებენ მათ ხელჩართული ბრძოლა აწარმოონ. ტყვედ წაყვანილნი იტალიელთა ჯარის ნაწილებს ეკუთვნიან.

ცენტრალური ფრონტი

მადრიდის ფრონტზე, კარაბანჩელის სექტორში რესპუბლიკელებმა უკანასკნელ დღეებში მეამბოხეთა პოზიციების ქვეშ რამდენიმე ნაღმი აფეთქეს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა 11 აპრილს აღმოსავლეთის ფრონტზე ორჯერ დაუშინეს ყუმბარები და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს მეამბოხეთა და ინტერვენტთა ჯარის ნაწილები ბალაგერის სექტორსა და ლერიდადან ჩრდილოეთით მდებარე გზებზე. ყველა თვითმფრინავი უვნებელი დაბრუნდა.

იტალია-გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ფრონტიდან შეტად დაშორებულ რამოდენიმე სოფელს ტოლედოს პროვინციაში. მოკლულია 5 ქალი და 6 ბავშვი.

11 აპრილს მეამბოხეთა რამდენიმე თვითმფრინავი მიუახლოვდა მადრიდს, მაგრამ ისინი დაუყოვნებლივ განდევნეს საზენიტო ბატარიების ცეცხლით.

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის სამხრეთ ნავსადგურებში, რომლებიც მეამბოხეთა ხელშია, უკანასკნელი კვირის განმავლობაში იტალიისა და გერმანიის წარმოების დიდძალი სამხედრო საჭურველია შემოზიდული.

იძულია უარს ამბობს გამოიწვიოს თავისი ჯარები ესპანეთიდან

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). „ობსერვერის“ რომაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ იტალია „კვლავ სრულიად კატეგორიულად ამბობს უარს გამოიწვიოს თავისი ჯარები ესპანეთიდან, სანამ იქ ომი არ დამთავრდება“. შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის მთავრობამ გამოსთქვა „ღრმა კმაყოფილება იტალიის განცხადებებისადმი ინგლისის პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის გულწრფელი დამოკიდებულების გამო“.

„იარაღი რესპუბლიკური ესპანეთისათვის“

ლონდონი. 12 აპრილი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ლეიბორისტთა ლიდერებს განზრახვა აქვთ გადადგან ნაბიჯები იმ კამპანიის გასაძლიერებლად, რომელიც ტარდება ლონზუნგით „იარაღი ესპანეთის რესპუბლიკისათვის“.

სამხრეთ უელსის ლეიბორისტული ორგანიზაციის რაიონული საბჭოს ხელმძღვანელებმა კარდიფის კონფერენციაზე განაცხადეს, რომ მზად არიან გაატარონ ყოველივე ღონისძიება, რაც კი საჭიროა იმისათვის, რათა შესწყდეს ფაშისტი აგრესორების შემდგომი მომარაგება საომარი მასალით, და მიიღონ ზომები, რომლებიც აიძულებენ ინგლისის მთავრობას ხელი აიღოს პროფაშისტურ პოლიტიკაზე. საბჭომ წინადადება მისცა შრომის ნაციონალურ საბჭოს დაუყოვნებლივ მოიწვიოს ნაციონალური კონფერენცია მოქმედების გეგმის განსახილველად.

ინგლისის ნოტა ერთა ლიგისადმი

ჟენევა, 11 აპრილი (საკდესი). ერთა ლიგის გენერალურმა მდივანმა მიიღო ინგლისის ნოტა, რომელშიც ბრიტანეთის მთავრობა სთხოვს შეიტანოს ერთა ლიგის საბჭოს მომავალი სესიის დღის წესრიგში საკითხი იმ „შედეგების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ ბრიანიის ახლანდელი მდგომარეობიდან“. ბრიტანეთის მთავრობა ამასთან აღნიშნავს, რომ სულ ცოტა 5 სახელმწიფო, წარმოდგენილი ერთა ლიგაში, სცნობს, რომ იტალიის მთავრობას სუვერენიტეტი აქვს აბისინიის მიმართ ანდა ამ სახელმწიფოებმა გადასდგეს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გულისხმობენ ასეთ ცნობას“.

ბრიტანეთის მთავრობის თხოვნის შესაბამისად, საკითხი შეტანილია საბჭოს იმ სესიის დღის წესრიგში, რომელიც იხსნება 9 მაისს, ნოტის ასლი გაეგზავნა ერთა ლიგის ყველა წევრს, მათ შორის აბისინიის მთავრობასაც.

აღნიშნავენ, რომ 5 სახელმწიფო, რომლებზედაც ლაპარაკია ბრიტანეთის ნოტაში, არის პოლონეთი, ბელგია, ეკვადორი, რუმინეთი და ლატვია.

ერთა ლიგის წესდების თანახმად, საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვას უნდა დაესწრონ აბისინიისა და იტალიის წარმომადგენლები.

ამავე დროს, რომიდან გადმოცემული ხმების მიხედვით, იუწყებიან, რომ ინგლის-იტალიის მოლაპარაკებაში იდგა აგრეთვე ინგლისის სუდანისა და აბისინიის „საზღვრების შესწორების“ საკითხი. სხვანაირად რომ ითქვას, იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობის ცნობის სანაცვლოდ დიდბრიტანეთი, ამ ხმების მიხედვით, მიიღებდა აბისინიის ტერიტორიის მცირეოდენ ნაწილს.

ჩეხოსლოვაკია და გერმანიის ფაშიზმი

აკ. ნუცუბიძე

ჩეხოსლოვაკია ერთადერთი ქვეყანაა ცენტრალურ ევროპაში, სადაც ფაშისტური ტენდენციები ჯერ-ჯერობით ვერ ფეხს იკიდებენ. ეს ქვეყანა ერთადერთი ქვეყანაა ცენტრალურ ევროპაში, სადაც ფაშისტური ტენდენციები ჯერ-ჯერობით ვერ ფეხს იკიდებენ. ეს ქვეყანა ერთადერთი ქვეყანაა ცენტრალურ ევროპაში, სადაც ფაშისტური ტენდენციები ჯერ-ჯერობით ვერ ფეხს იკიდებენ.

აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე

ბათუმი, 13 აპრილი (საქდესი). აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღედ დაინიშნა 1938 წლის 12 ივნისი.

აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აგრეთვე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**იუსუფ მემედის-ძე კორძაია** — აჭარის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვიქტორ პავლეს-ძე ჯღარკავა** — აჭარის მშენებელ მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — **გრიგოლ ნიკოლოზის-ძე გაბუნია** — აჭარის თავდაცვისა და საავიაციო ქიმიურ მშენებლობის ხელის შემწყობ საზოგადოების ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები: **აიშე არიფის-ასული დათუნაშვილი**—მე-5 სამკერვალო ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივისაგან.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე ანასტასიაღი—გაზეთ „ბათუმსკი რაბოჩი“-ს მუშაკთა კოლექტივისაგან.

დაუთ ოსმანის-ძე შარბაძე—ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ხუსია მევლუდის-ძე დუმბაძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მეურნის“ კოლმეურნეებისაგან.

იუსუფ იაკობის-ძე შავაძე — ხულოს რაიონის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ხურიე ალანის-ასული მანელიშვილი — ჭობულეთის რაიონის ამხანაგ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

მემედ ემინის-ძე ფალავა—ბათუმის ნავთსახდელ ქარხნების მუშაკთა კოლექტივისაგან.

ვლადიმერ კირილეს-ძე სანიკიძე—საქ. ალკკ ბათუმის ორგანიზაციისაგან.

თევდორე ივანეს-ძე ზელენკოვი—ქალაქ ბათუმის ფლოტის მუშაკთა კოლექტივისაგან.

პარმენ ონისიმეს-ძე ლორია — მწერალთა კავშირის მუშაკთა კოლექტივისაგან.

აჭარის ასს რესპუბლიკაში შექმნილია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების — 69 საარჩევნო ოლქი: აქედან ქალაქ ბათუმში — 23 ოლქი, ხულოს რაიონში—13, ქედის რაიონში—5, ბათუმის რაიონში—11 და ჭობულეთის რაიონში 11 ოლქი.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი

„მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის უკეთეს და უნიჭიერეს პოეტად“, ასე დაახასიათა მაიაკოვსკის შემოქმედება და მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ბრძენმა ბელადმა დიდმა სტალინმა. ბელადის ამ შეფასებაში გამოხატულია საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული რევოლუციის დიდი პოეტისადმი.

ვ. მაიაკოვსკი იყო და არის საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი პოეტი, მისი იდეებისა, გრძნობებისა და განწყობილების დიდი პოეტური ძალით გამომხატველი, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის უდიდესი აგიტატორი, ტრიბუნი, რევოლუციის უდიდესი ლირიკოსი, ენტუზიასტი.

ვ. მაიაკოვსკი იყო და არის ეპოქალური მნიშვნელობის პოეტი, რომლის პოეტური ძალა მთელ მსოფლიოს სწვდებოდა და სწვდება. მხოლოდ ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში იყო შესაძლებელი გაზრდილიყო მაიაკოვსკის ტიპის მებრძოლი პოეტი. მაიაკოვსკი იყო სოციალიზმის ქვეყნის დიდი ხალხის ღვიძლი შვილი, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი შემომქმედი. მაგრამ მას არ დასცალდა მთელი თავისი ბუმბერაზი ნიჭი და ენერგია შეეწირა რევოლუციისათვის, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოესალმა ცხოვრებას.

ტროცკიზმის პირსისხლიანი აგენტები ლიტერატურაში წლების განმავლობაში სდევნიდენ, ავიწროვებდნენ ვ. მაიაკოვსკის, ამცირებდნენ მის სახელსა და შემოქმედებას, ცდილობდნენ გველური სისინით სიცოცხლე მოეწამლათ იმ პოეტისათვის, რომელიც უძლიერესი პოეტური ხმით ღაღადებდა სტალინური ეპოქის სიმძლავრეს, სოციალიზმის ქვეყნის აღმავლობასა და გამარჯვებას და რევოლუციური ბრძოლის სადარაჯოზე იდგა, როგორც ნამდვილი მებრძოლი ჯარისკაცი.

ტყუილად არ ამბობდა ვ. მაიაკოვსკი: „მე მინდა კალამი ხიშტს გაუთანაბრდესო“, „სიტყვა—ადამანის ძალის სარდალია“, „სიმღერაც და ლექსიც — ყუმბარა და დროშაა“. ვ. მაიაკოვსკის ლექსები იყო ნამდვილი რევოლუციური ხიშტი, რომელიც შეუბრალებლად გმირავდა რევოლუციის მტრებს, მისი პოეტური სიტყვა იყო ყუმბარა, დროშა. ვ. მაიაკოვსკი მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის გამარჯვების საქმეში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში თავისი უძლავრესი იარაღით — პოეტური მეტყველებით, მხატვრული შემოქმედებით.

ვ. მაიაკოვსკის პოეზია გამოსჭედა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. ამიტომ მის პოეზიაში, როგორც თვითონ პოეტი ამბობდა, გაისმოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ „მოიერიშე კლასის“ მებრძოლი ხმა. მას ჰქონდა მებრძოლი, ხალხური პოეტის ყველა თვისება და მან ღირსეულად დაიმსახურა ეს სახელი.

ამიტომ უყვარდა ვ. მაიაკოვსკი ახალგაზრდობას, წითელ არმიას, კომკავშირს, ამიტომ უყვარდა იგი საბჭოთა ხალხს. მაგრამ მაიაკოვსკი სძულდათ ხალხის მტრებს, იმათ, ვის წინააღმდეგაც იგი იბრძოდა თავისი გესლიანი, მახვილი ენით. ვ. მაიაკოვსკის სძულდა სოციალიზმის სამშობლოს მოღალატეები, კაპიტალიზმის რესტავრატორები, ყოველგვარი ხიტყობის მტრები.

ოქტომბრის დიდ რევოლუციასთან კი ვ. მაიაკოვსკი მივიდა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული. ამ დროს მისთვის, როგორც თვითონ ამბობს, არ დასმულა კითხვა—მიეღო თუ არ მიეღო რევოლუცია. „რევოლუცია ჩემია. წვავედი სმოლნში, ვაკეთებდი ყველაფერს, რაც შემხვდებოდა“. ეს ვ. მაიაკოვსკის „როსტაში“ მუშაობის პერიოდია. აქ მიეღო პოეტმა დიდი რევოლუციური გამოცდილება და აქედანვე აწყობა მისი შემოქმედების ახალი და ნათელი გზა, რევოლუციის სამსახურის დიდი გზა. ამ გზისათვის შემდეგში ვ. მაიაკოვსკის არასდროს არ ულალატნია. იგი ბოლომდე დარჩა სოციალიზმის იდეურ პოეტად, საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს მომღერლად, საბჭოთა ხალხის უსაყვარლეს მებრძოლად.

ტყუილად არ მიმართავდა ვ. მაიაკოვსკი მუშათა კლასს: „გწირავ ყველაფერს — უკანასკნელ სტრიქონებამდეო“, ტყუილად არ ამბობდა პოეტი: მუშათა კლასის მტერნი დასაბამიდანვე ჩემი მტერნი არიან („მთელი ხმით“).

მაიაკოვსკის ღრმად სწამდა, რომ ის იყო რევოლუციის პოეტი, რომ მისი ნაწერები მარად იცოცხლებენ, რადგან „ოქტომბრის რევოლუცია მარად იცოცხლებს, მე კი მისი პოეტი ვარო“. ამიტომაც მიმართავდა იგი გაბედულად თავის ლექსს:

დაე, საერთოდ ჩვენი ძეგლი
იყოს — ბრძოლებში
მონაპოვარი სოციალიზმი.

ვ. მაიაკოვსკის მოიპოვა უფლება ეს ეთქვა, რადგან იგი იყო და არის ნამდვილი რევოლუციური საბჭოთა პოეტი.

ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ქ. თბილისში, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს შენობაში, კეცხოველის ქ. № 5, შესდგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. ჯორბენაძე.

რას ნიშნავს ასეთი დუმილი?

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ჩვენი პარტია ყოველდღე, ყოველ საათს კლაპარაკება მასებს გასაგებ ენაზე და ანმტკიცებს თავის კავშირს მათთან.

ჩვენი პრესა ძლიერი იარაღია ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკისა, რომლის ამოცანადაც პარტიამ გამოაცხადა „მთელი ჩვენი მუშაობის დეფექტების დაუნდობელი მხილება ჩვენი მშენებლობის გასაუჯობესებლად, საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად“ (სტალინი).

თვითკრიტიკა ლენინიზმის მეთოდის, სოციალიზმის მშენებლობის ერთერთი ძირითადი იარაღია და ვინც მას უგულებელჰყოფს ან გაურბის, იგი ნებით თუ უნებლიეთ ხელს შეცდომას უშვებს.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება არა ერთი და ორი მამხილებელი კორესპონდენცია, იბეჭდება ავგრეთვე ცალკე წერილები, სადაც მოცემულია ამა თუ იმ ორგანიზაციის, სამეურნეო დაწესებულების ნაკლოვანებათა კრიტიკა და დასახულია ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

იმ წარმოება - დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომელთაც შენიშვნა ეხება, ვალდებულია არიან გამოეხმაურონ შენიშვნებს, დასახონ ღონისძიებანი გაზეთში დაბეჭდილი მასალების საფუძველზე და ამის შესახებ აცნობონ რედაქციას.

საერთოდ ეს კეთდება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ ჯერ კიდევ დარჩენილა ზოგიერთი დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელ მუშაკებს თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნიათ პასუხი გასცენ რედაქციას, დროზე აცნობონ მას მიღებული ზომების შესახებ.

ჩვენი გაზეთის პირველი მარტის ნომერში მოთავსებული იყო ამხ. ი. ყურაშვილისა და გ. ყურაშვილის სტატია სათაურით „მეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს“. სტატიაში მოცემული იყო საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მუშაობის კრიტიკა, დასახელებული იყო მრავალი ფაქტი, რომ ამბროლაურის რაიკომმა არ გამოიტანა ყველა საჭირო დასკვნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ თვენახევარი გავიდა და რედაქციამ ერთხელ კიდევ მოაგონა საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანს ამხ. გრ. ჭელიძეს—ეცნობებინა, თუ რა შედეგი მოჰყვა სტატიას, რედაქციას დღემდე პასუხი მაინც არ მიუღია.

მიმდინარე წლის 6 აპრილის ნომერში ჩათავსებულია მოწინავე სტატია „მასწავლებელთა ატესტაცია ხუსტად მიმდინარეობს“. მოწინავეში აღნიშნული იყო, რომ „განათლების სახალხო კომისариატმა ვერ შესძლო წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ყველგან დაეწყო ატესტაცია“. მოწინავე ამის მიზეზად ასახელებდა განსაკომის პასუხისმგებელი მუშაკების ამხ. დ. ყიფშიძის, ლ. გეგეშიძის და თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ინსტიტუტი უმსგავსოდ მუშაობს“. ამ წერილის შედეგების გაგების მიზნით რედაქციამ ერთხელ მიმართა ჯანსახკომს, პირადად ამხ. ო. თოდაძეს, მაგრამ პასუხი დღემდე არ ისმის. ჯანსახკომი ასევე უყურადღებოდ სტოვებს (ყოველ შემთხვევაში საჭიროდ არა სცნობს მიღებული ზომების შესახებ აცნობოს რედაქციას) ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სხვა შენიშვნებსაც.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ ზემონათქვამს ამხანაგებს საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომიდან, საქართველოს განსახკომიდან და ჯანსახკომიდან და ვეკითხებით მათ: რას ნიშნავს ასეთი დუმილი? ფიქრობენ თუ არა ისინი ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილებსა და შენიშვნებზე პასუხის გაცემას?

მეთესლეობის მეურნეობათა ცუდი ხელმძღვანელობისათვის მკაცრი პასუხისგება

რაიონული მეთესლეობის მეურნეობათა ხარისხოვანი თესლით მომარაგების ჩაშლისათვის და ამ მეურნეობათა აგრონომებით დაუკომპლექტებისათვის სსრ კავშირის მწყობრმქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ე. ეიხემ მუშაობიდან მოხსნა და პასუხისგებაში მისცა სმოლენსკის საოლქო მიწათმოქმედების განყოფილების უფროსი ამხ. ვოსიხი. მეთესლეობის რაიონულ მეურნეობათა არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის საყვედური გამოეცხადა ყაზახეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. კუჟანოვს.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა ყირიმის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. იარანცევს.

ამხ. ეიხემ გააფრთხილა ალტაის და კრასნოიარსკის მხარის არხანგელსკის, ვოლოგდის, ნოვოსიბირის, ომსკის, კალინინის და კიროვის ოლქის მიწათმოქმედების განყოფილებათა უფროსები და ბაშკირეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, რომ, თუ არ მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს მეთესლეობის რაიონულ მეურნეობათა ხელმძღვანელობის საყვედური გაუმჯობესებისათვის, მაშინ ისინი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული. (საქდესი).

შეუწყნარებელი უდარდელობა გექნიკური კადრების მომზადებაში

საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს სისტემაში შედის ხუთი ავტოსატრაქტორო სკოლა: გურჯაანის, გიაურარხის, სურამის, ახალქალაქისა და წულუკიძის. ამ სკოლებში ამზადებენ კომბაინერებს, შოფერებს, მექანიკოსებს, ტრაქტორისტებს და სხვ.

საქართველოში უნდა მომზადდეს 584 ტრაქტორისტი, ფაქტიურად კი მზადდება 319. კომბაინერები მზადდება 41 ნაცვლად 150-სა, ტრაქტორისტი ბრიგადირი გეგმით გათვალისწინებულ 37-ის ნაცვლად — 3. ავტომექანიკოსი უნდა მომზადებულიყო 25, ფაქტიურად მზადდება 12.

ამრიგად, არცერთი სკოლა მთლიანად არ არის დაკომპლექტებული მსმენელთა კონტინგენტით, რაც მოწმობს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს სერიოზულად არ მოჰკიდეს ხელი არც საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ (უფროსი ნ. კობახიძე) და არც მტს-ების დირექტორებმა.

ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში ზოგიერთმა მტს-ის დირექტორმა გამოიჩინა აშკარა დაუდევრობა. მაგალითად, წნორის მტს-ის დირექტორმა სკოლებში 47 კაცის მაგიერ მიაველინა 27. წითელწყაროს მტს-ის დირექტორმა 49 კაცის მაგიერ გაგზავნა 18, ლაგოდეხისამ — 14 კაცი 30-ის ნაცვლად, საგარეჯოსამ კი 40 კაცის მაგიერ 18. მსგავსი მდგომარეობაა ახორჩალოს, ასურეთის, ახალქალაქის, წალენჯიხისა და ლანჩხუთის მტს-ებში.

სკოლის დირექტორების მიერ დროზე იყო მოცემული სიგნალები ამ მდგომარეობის შესახებ. მაგრამ მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ და მტს-ების დირექტორებმა თვალი არ შეიწუხეს და არ მიიღეს გადამჭრელი ზომები ნაკლის გამოსასწორებლად.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მტს ვალდებულია თვითეულ მსმენელზე გადაურიცხოს სატრაქტორო სკოლას 120 მანეთი ყოველთვიურად. ზოგიერთი მტს-ის დირექტორი ამ წესს არ ასრულებს.

მაგალითად, მტს-ების დავალიანება წულუკიძის სკოლისადმი 20 მარტისათვის უდრიდა 32.875 მანეთს, აქედან ქუთაისის მტს-ისა 2.224 მან., ვანის — 4.707 მან., ცხაკაიას — 1.678 მან., ზესტაფონის — 3.496 მან., ლანჩხუთის — 2.521 მან., სამტრედიის — 3.088 მან., ზუგდიდის — 4.287 მან.

თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, თიანეთის, წნორის, გურჯაანის, ულიანოვკის, კაჩრეთის მტს-ების დავალიანება გურჯაანის სკოლისადმი უდრის 111.360 მანეთს.

როგორია საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს ხელმძღვანელობა ამ სკოლებისადმი? აშკარად არადამაკმაყოფილებელი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა პირველ იანვარს დაიწყო, დღემდე მთლიანად არ არის დაშვებული პროგრამები. გურჯაანის სკოლას 2 ინჟინერ-მექანიკოსი მასწავლებელი აკლია.

გურჯაანის სატრაქტორო სკოლაში პირველი იანვრიდან საშოფერო განხრაზე სწავლობს 53 კაცი. სასწავლო გეგმის მიხედვით თვითეულმა მოსწავლემ პრაქტიკულად უნდა ამუშაოს ავტომანქანა 20 საათი, ყველამ ერთად—1.060 საათი. მაგრამ სწავლა იწყება, რადგან მიწსახკომის კადრების სამმართველომ სკოლა არ მოამარაგა „პაკრიშკებით“. ასეთივე ბედი ეწია სურამის სატრაქტორო სკოლასაც.

დროა მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო განმსჭვალოს პასუხისმგებლობის გრძნობით და სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ტექნიკური კადრების მომზადებას.

ზ. ერიაშვილი.

ფაბრიკა ემზადება ჩაის ფოთლის მისაღებად

ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკის რემონტი გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. შეკეთებულია ჩაის გადამმუშავებელი მანქანები, ელექტროსადგურის დანადგარები, დადგმულია მწვანე ჩაის ფოთლის მექანიკურად ბძტანი მანქანა, მუშებისათვის შეძენილია სპეცტანსაცმელი, მთავრდება ხელოვნური ჭკნობის ორი კამერის მოწყობა.

ჩაის ფაბრიკას შარშან 11 მიმღები პუნქტი ჰქონდა გასხნილი, წელს კი გაიხსნება 14. პუნქტებისათვის უკვე გამონახულია ბინები და მოშზადებულია ფოთლის გადასაზიდი ყუთები.

წელს ფაბრიკამ 1.200.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა გადაამუშაოს.

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაბრიკაში მოწყობილია პირველი და მეორე საფეხურის ტექნიკის შემსწავლელი წრეები, რომლებსაც კვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. წრეებში სწავლობენ ფოთლის ჭკნობის, მოგრეხის, ფერმენტაციის, ხმობისა და დახარისხების წესებს.

მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას აქ სერიოზული ყურადღება ექცევა. სტახანოველი მუშებისა და სპეციალისტებისათვის ფაბრიკამ მოაწყო ორსართულიანი შენობა 16 ოთახით. მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრებული იქნება კიდევ მეორე ორსართულიანი შენობა 32 საცხოვრებელი ოთახით.

ბ. შარაშიძე.

თბილისის წისქვილკომბინატის ადგილკომის თავმჯდომარე (ზუაში) ამხ. ზ. სტეპანიანი ესაუბრება მუშებს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

ფოტო შველაძისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული

თბილისის სარკინიგზო კვანძის საწარმოებში

თბილისის სარკინიგზო კვანძის მუშები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღედ 1938 წლის 12 ივნისის დანიშვნის შესახებ.

13 აპრილს სასადილო შესვენების დროს კვანძის საწარმოთა ყველა საამქროში ჩატარდა ხმამაღლა კითხვა, რასაც დაესწრო რამდენიმე ათასი რკინიგზელი.

თბილისის სამგზავრო სადგურის ნიშნასმა მეისრემ ამხ. გრიგოლაშვილმა სთქვა:

— 12 ივნისი უაღრესად შესანიშნავი დღე იქნება საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ქართველი ხალხი ხმას მისცემს თავის საუკეთესო შვილებს და აირჩევს მათ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ამხ. გრიგოლაშვილი პირობას იძლევა კიდევ უფრო კარგად მოაწყოს საარჩევნო დებულების შესწავლა იმ სახლში, სადაც ის ცხოვრობს.

— თავიანთი სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით აღსავსენი, საქართველოს მშრომელები იწყებენ საარჩევნო კამპანიას,—ამბობს თბილისის სამგზავრო სადგურის დისპეტჩერი მარგოშია.

თბილისის სადგურის საორთქლმავლო დეპოს მერესორე ბერიაშვილი ამბობს, რომ 12 ივნისი დიდი დღესასწაული იქნება ყველა იმისათვის, ვისაც ძვირად უღირს ჩვენი მზიანი სამშობლო.

(საქდესი).

მიჯვინგი წითელი არმიის საოლქო სახლში

12 აპრილს წითელი არმიის საოლქო სახლში შესდგა მეომართა, მეთაურთა და მათი ოჯახების წევრთა მიტინგი საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოს დაუბრალების გამო.

არჩევნების მომზადებისა და არჩევნების დღის (12 ივნისი) დანიშვნის შესახებ საინფორმაციო მოხსენების გაკეთების შემდეგ გამოვიდნენ მეომრები და მეთაურები. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში მშრომელნი გაგზავნიან საუკეთესო, ყველაზე ღირსეულ ადამიანებს, რომელნიც ბოლომდე ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა, ლენინ-სტალინის საქმისა.

წითელი არმიის სახლში 8 სტენდზე მოწყობილია სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც ასახავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდას ცალკეულ რესპუბლიკებში. განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევებს.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით წითელი არმიის საოლქო სახლის პოლიტიკური აგიტაციის სექტორი აწყობს ლექციების ციკლს თემებზე: „საბჭოთა საქართველოს მიღწევები 17 წლის განმავლობაში“, „საქართველოს სსრ კონსტიტუცია“, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება“ და სხვ. (საქდესი).

მშრომელთა სიხარულისა და ზეიმის დღე

ჭუთაისი, 13 აპრილი. (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). ჭუთაისის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქ. სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ.

13 აპრილს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჭუთაისის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები, სადაც მშრომელები აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ არჩევნების დღის დანიშვნის გამო და ღებულობდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა გრიგოლ მჭედლიშვილმა. 12 ივნისი — ამბობს ამხ. მჭედლიშვილი—არის მშრომელთა გამარჯვებისა, სიხარულისა და ზეიმის დღე, 12 ივნისს შევხვდებით საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულების მაჩვენებლებით.

მუშებმა ერთხმად იკისრეს ვალდებულება — სამუშაო დღის განმავლობაში ნაცვლად 365 კილოგრამისა დაამზადონ 400 კილოგრამი ძაფი.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძე, ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი განთავისუფლებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეობის შეთავსებისაგან.

(საქდესი).

აპ. ნუცუბიძე

ჩეხოსლოვაკია და გერმანიის ფაშიზმი

11 და 12 მარტს, 24 საათის განმავლობაში ცენტრალური ევროპის რუკაზე ავსტრია წაიშალა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. გერმანიის გაცოფებულმა ფაშისტებმა მსოფლიოს თვალწინ გადაყლაპეს იგი, მოუსპეს მას დამოუკიდებლობა. ავსტრიის შეერთებით გერმანიამ „დიდი ომის“ ფონდში საკმაოდ მოზრდილი ნადავლი შეეტანა. „სამეურნეო ავტარკიის“ განხორციელებისათვის ფაშისტებს სხვაგვარი საშუალება არც გააჩნიათ.

ცნობილია, რომ ავტარკიის ფაშისტურმა პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა. გერმანიამ საკუთარი საშუალებებით ვერ შესძლო და არც შეეძლო შეექმნა „დიდი ომისათვის“ საჭირო სამხედრო მნიშვნელობის ნედლი მასალის სათანადო მარაგი. ცხადია, ამ მარაგის ნაწილობრივ მაინც შესავსებად ავსტრიის დაპყრობას გერმანიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანია ავსტრიაში შეჭრისთანავე დაეპატრონა ავსტრიის ბუნებრივ სიმდიდრეებს—რკინას, მაგნეზიტს, ქვანახშირს, ტყეებს, თუთიას, სპილენძს, ამასთანავე ავსტრიის საუცხოო ტყეებს, რომლებსაც მთელი ტერიტორიის 40 პროცენტი უჭირავს, სოფლის მეურნეობას და სხვ. გერმანია დაეპატრონა ავსტრიის საწარმოებს, განსაკუთრებით სამხედრო ქარხნებს, რომლებიც დიდი რაოდენობით ამზადებენ საომარ საჭურველს. ველერსდორფის, შტაიერის და სხვა სამხედრო ქარხნები, რომლებიც ფართო მომსახურებას უწევდნენ ავსტრიის არმიას მსოფლიო ომის დროს, ახლა უკვე გერმანიის განკარგულებაშია. გერმანია აგრეთვე დაეპატრონა ავსტრიის ცოცხალ საომარ ძალასაც. გერმანიას შეუძლია ომის დროს გააღიდოს არმია ავსტრიის ხარჯზე 500 ათასი კაცით. ყველაფერი ეს კიდევ მეტად შეიძლება ითქვას ჩეხოსლოვაკიის შესახებ.

ავსტრიის დაპყრობით გერმანიას ოპერაცია არ დაუმთავრებია. გერმანიის შემდგომი ნაბიჯი მიმართული ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. გერმანია ყოველდღიურად, ყოველ საათობით ამზადებს თავდასხმას ჩეხოსლოვაკიაზე.

გაკოტრებული ფაშისტი „თეორეტიკოსები“ ერთსულოვნად მოითხოვენ მოისპოს ჩეხოსლოვაკია, როგორც „მუწუკი გერმანიის სხეულზე“. ჩეხოსლოვაკია უნდა „გაისრისოს“, იგი უნდა „დაიმსხვრეს“, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და მისი ნამსხვრევები გერმანიის კალთაში ჩაცვივდეს—ასეთია კატეგორია ფაშისტების ოცნება.

რა თქმა უნდა, ჩეხოსლოვაკია კიდევ უფრო დიდი ნადავლი იქნება გერმანიისათვის „დიდი ომის“ ფონდში შესატანად.

ჩეხოსლოვაკია დიდად განვითარებული კაპიტალისტური ინდუსტრიის ქვეყანაა. მისი მთლიანი პროდუქციის 80 პროცენტი მხოლოდ მრეწველობაზე მოდის. ჩეხოსლოვაკია ძლიერია სხვადასხვა ბუნებრივი სიმდიდრეებით—ნახშირით, რკინით, ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, რადიუმით და სხვ. ჩეხოსლოვაკია ყოველთვიურად აღნობს 339 ათას ტონა თუჯს და ფოლადს, იღებს 3.185 ათას ტონა ნახშირს, ყოველწლიურად იღებს 4 მილიონ კრონის ღირებულების ოქროს და 1 მილიონ კრონის ღირებულების ვერცხლს. ჩეხოსლოვაკია უაღრესად მდიდარია სამხედრო მრეწველობით, სამხედრო ქარხნებით. სამხედრო ქარხნები—შეტფელდი, დანეკი და ცნობილი შკოდის ქარხნები პილზენში გერმანელი ფაშისტების დიდ ყურადღებას იქცევს. გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიას ძლიერი და გაწრთვნილი ცოცხალი სამხედრო ძალა გააჩნია. მშვიდობიანობის დროს ჩეხოსლოვაკიის არმიას ჰყავს 7 კორპუსი. 1937 წელს ჩეხოსლოვაკიის არმია შესდგებოდა 14 დივიზიისაგან, ომის დროს ის შეიძლება აყვანილ იქნას 5 არმიის შემადგენლობამდე 1,5 მილიონი კაცის რაოდენობით. ეს არმია შეიარაღებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, განვითარებული სამხედრო საშუალებებით და სამხედრო საჰაერო ფლოტით. არასრული ცნობებით, გასულ წელს ჩეხოსლოვაკიის პირველი რიგის თვითმფრინავების რაოდენობა უდრიდა 600-ს. რა თქმა უნდა, ასეთი ქვეყნის „ანშლიუსი“ (შეერთება) დიდად შეუწყობდა ხელს გერმანიის დიდი არმიის შექმნას და მის საომარ მომზადებას. ამით აიხსნება გერმანიის ასე გაფაციცებით მზადება ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისათვის. გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა გერმანიას გზას გაუხსნიდა დუნაისა და ბალკანეთის ქვეყნებისაკენ, რუმინეთის ნავთის დაპყრობისაკენ.

უდავოა, რომ ჩეხოსლოვაკიაზე გერმანიის თავდასხმა მდგომარეობის უფრო სერიოზულ გართულებასთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ავსტრიის მიმართ.

ჩეხოსლოვაკია ავსტრია როდია. ჩეხოსლოვაკიას შეუძლია გერმანიის თავდასხმას გამანადგურებელი დარტყმით უპასუხოს. ეს პოზიცია ნათლად გამოხატა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა გოჯამ პარლამენტში 4 მარტს. „თუ გერმანიის მხრივ ადგილი ექნება ჩეხოსლოვაკიის დაუოკიდებლობაზე თავდასხმას, — ამბობდა გოჯა—ჩეხოსლოვაკია, დაემყარება რა თავის სრულ მორალურ და ტექნიკურ მზადყოფნას, მთელი ძალებით იბრძოლებს თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის“. შემდეგ გოჯა აცხადებს, რომ „ჩეხოსლოვაკიას და მის ხალხს არასოდეს და არავითარ პირობებში არ შეუძლიათ დაუშვან და არც დაუშვებენ ჩარევას თავის პოლიტიკურ საქმეებში“. უეჭველია გოჯას მხედველობაში ჰქონდა ჰიტლერის და გერინგის გამოსვლები ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებისა და, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.

გარდა ამისა ჩეხოსლოვაკია მარტო არ არის. მას ურთიერთდახმარების პაქტი აქვს დადებული საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან. ეს პაქტი მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებას ემსახურება და არცერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ არ არის მიმართული. ის უპირდაპირდება მხოლოდ აგრესიას. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ შეიძლება არ იცოდნენ აგრესორმა სახელმწიფოებმა და მათ შორის გერმანიამ.

გერმანია ხედავს რა ყველა ამ გარემოებას და ითვალისწინებს რა ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის მთელ სერიოზულობას, არაპირდაპირი გზებითა და საშუალებებით ცდილობს მიაღწიოს მიზანს ჩეხოსლოვაკიის შეერთების საქმეში.

პირველი გზა—ეს არის ის, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში, კერძოდ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში, შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ ეს სახელმწიფოები გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის შემთხვევაში გერმანიის წინააღმდეგ არ წავიდნენ. საფრანგეთი ასე თუ ისე გარკვეულ პოზიციას დაადგა ჩეხოსლოვაკიაზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის საკითხში. საფრანგეთი არ აპირებს უარი სთქვას იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც მას ეკისრება ჩეხოსლოვაკიასთან დადებულ ურთიერთდახმარების პაქტით. რაც შეეხება ინგლისს, ჩემბერლენის განცხადება, რომ ის არ კისრულობს რაიმე ვალდებულებას ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა მიმართ, ფაქტიურად მოასწავებს თანხმობას გერმანიის მხრივ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობაზე. რა თქმა უნდა, ეს მეტად ათავხედებს გერმანიას.

მეორე გზა—ეს არის ჩეხოსლოვაკიაში ჯარებით შესვლისათვის მზადყოფნა. ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე ამჟამად თავმოყრილია გერმანიის 100 ათასი ჯარისკაცი. ყველ საჭირო მომენტში, ბრძანების მიღებისთანავე ისინი მზად არიან თავს დაესხან ჩეხოსლოვაკიას.

მესამე გზა—ეს არის გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის შინაგანი აფეთქების, მისი დაშლის, დაქსაქსვის ცდა.

გერმანელი ფაშისტები ჩეხოსლოვაკიაში აწყობენ ინტრიგებს და დიპლომატიურ შანტაჟს. ჰგზავნიან იქ სპეციალურად მომზადებულ აგენტებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს. აღსანიშნავია მუშაობა „სუდეტელ-გერმანელთა ბრიგადისა“, რომელიც აერთიანებს 9.500 აქტიურ წევრს ჩეხოსლოვაკიაში ჰიტლერის აგენტურის—ჰენლაინის პარტიიდან. უკვე დამტკიცებულია, რომ „სუდეტელ-გერმანელთა ბრიგადა“ დიდიხანია ინტენსიურად სწავლობს სამხედრო და ჯაშუშურ საქმეებს გერმანიის ფაშისტური მცველი რაზმების სპეციალური ოფიცრების ხელმძღვანელობით. „ბრიგადის“ წევრები ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე ავრცელებენ არალეგალურ ფურცლებს, რომლებშიაც პირდაპირ აღნიშნავენ, რომ „ბრიგადის“ მიზანს წარმოადგენს სუდეტელ-გერმანელთა ოლქის „ანშლიუსი“ გერმანიასთან. „ბრიგადას“ თავისი გარნიზონები ჰყავს საქსონიის 12 ქალაქში, მათ შორის დრეზდენში, ლეიპციგში, ჰემნიცში, პლაუენში, გოფში, პირნში, ბაუტცენში, ბრესლავში, გლატცში, მიტვეიდში და სხვ.

ჩეხოსლოვაკიაში აშკარა დამარღვეველ მუშაობას ეწევა ჰიტლერელი ჰენლაინი, რომელიც სუდეტელ გერმანელთა ფაშისტური პარტიის მეთაურად ითვლება. ბერლინის უშუალო კარნახით ჰენლაინი და მთელი მისი პარტია მოითხოვენ სუდეტელი გერმანელებისათვის ავტონომიას იმ მოტივით, თითქოს გერმანელები ჩეხოსლოვაკიაში ჩაგვრას და შევიწროებას განიცდიან.

ჯერ კიდევ გასულ წელს მოიერიშეთა მორიგ პარადზე რეიხსტაგში ჰიტლერმა განაცხადა: „მე კატეგორულობ ჩეხოსლოვაკიაში გერმანული უმცირესობის დამცველის როლსო“. ცხადია, რომ „გერმანული უმცირესობის“ ინტერესების დაცვა გერმანელ ფაშისტთა შორის წარმოადგენს ნამდვილად კი ფაქტები აი რას გვეუბნება. 3,5 მილიონ გერმანელ მოსახლეობას ჩეხოსლოვაკიაში აქვს თავისი 4 ათასი საშუალო და დაბალი ტიპის სკოლა, საკუთარი პრესა—63 გაზეთი, 143 ჟურნალი. გერმანელებს ჩეხოსლოვაკიის პარლამენტსა და სენატში სათანადო რაოდენობის მანდატები აქვთ. ასეთივე მდგომარეობაში არიან პოლონელები, რომელთა რაოდენობა ჩეხოსლოვაკიაში 100 ათასს უდრის. მათ აქვთ თავიანთი სკოლები პოლონურ ენაზე, პრესა და სხვ. ასეთივე მდგომარეობაში არიან უნგრელები (692.923), უკრაინელები (549.169). როგორც ვხედავთ, გერმანულ და სხვა ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრასა და შევიწროვებაზე ჩეხოსლოვაკიაში გერმანელ ფაშისტებს ლაპარაკი საჭიროდ იმიტომ, რომ მათ უნდათ ეს გამოიყენონ, როგორც საბაბი ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმისათვის.

ჰიტლერელ ბანდიტს ჰენლაინს ჩეხოსლოვაკიაში ზურგს უმაგრებენ სხვა რეაქციული პარტიები. აგრარული პარტია „ნაროდნი სედნოცენი“, ჟივნოსტენსკის (ხელოსანთა პარტია), სლოვაკელი კლერიკალების და სხვ. აღნიშნული პარტიები, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული არიან გერმანიასთან ჩეხოსლოვაკიის შეერთებით, უკავშირდებიან ჰენლაინს დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმისათვის, რომ უფრო შეამჭიდროვონ რიგები, რეაქციული პარტიები მოითხოვენ „ნაციონალური ფრონტის“ შექმნას. „ნაციონალური ფრონტის“ მიზნების შესახებ შემდეგი ლაყბობით ირთობს თავს გაზეთი „ნაროდნი ლისტი“, რომელიც გამოხატავს „ნაროდნი სედნოცენის“ ხელმძღვანელი წრეების თვალსაზრისს („ნაროდნი სედნტცენი“ ჩეხიის სამრეწველო-ფინანსიური ბურჟუაზიის პარტიაა). გაზეთი სწერს: „შემცდარი იქნებოდა გვეფიქრნა, რომ შეუძლებელია შეთანხმება სუდეტელ გერმანელთა პარტიასთან (ჰენლაინის პარტიასთან). ჩვენ ვალდებული ვართ ვაწარმოოთ მასთან მოლაპარაკება, თუმცა ეს პარტია მოქმედებს ბერლინის მითითებით, მაგრამ ცუდი არ არის ბერლინთანაც ვაწარმოოთ მოლაპარაკება. გაცილებით უკეთესია, რომ ჩვენ თვითონ შევუთანხმდეთ ყველაფერში სუდეტელ გერმანელებს და ბერლინს. გამორიცხული არ არის, რომ ამ მოლაპარაკების დროს უფრო სერიოზულ საქმეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ვიდრე ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემა. არც ამას უნდა მოვერიდოთ“. როგორც ვხედავთ, „ნაროდნი სედნოცენის“ კურსი პირდაპირ ფაშიზმსა და ბერლინზე აქვს აღებული.

ჩეხოსლოვაკიის აღნიშნული რეაქციული პარტიები ცდილობენ აშკარა ზეგავლენა მოახდინონ ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე. ამ პარტიების წარმომადგენლები ხულიგნურად გამოდიან პარლამენტში და აშკარად მოითხოვენ ჩეხოსლოვაკიის დაშლას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას ჩეხოსლოვაკიის დანაწილება, რომელიც შეასუსტებდა რესპუბლიკის ძლიერებას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, ფაშისტ ქოფაკებს, თუნდაც ჩეხოსლოვაკია მარტო იყოს, თუნდაც მას ურთიერთდახმარების პაქტი არ ჰქონდეს დადებული საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიას საამისო სამხედრო მომზადებაც მოეპოვება და ბრძოლის უნარიც.

პარტიული ცხოვრება

ქრონიკული ლიტერატურა

თვითეული პარჯიული მუშაკი შევამოწმოთ მისი მუშაობის შედეგების მიხედვით, მზრუნველობით აღვზარდოთ და გაბედულად დავწინაურთ ახალი კადრები

ვასწორებთ დაშვებულ შეცდომებს

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ მიუხედავად პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის არაერთგზისი მითითებისა და გაფრთხილებისა პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას და გარიცხულთა აპელაციების განხილვისას საქმისადმი ულრმესი გულისხმიერებითა და ყურადღებით მიდგომის შესახებ, „ბევრი პარტიული ორგანიზაცია და მათი ხელმძღვანელები განაგრძობენ პარტიის ცალკეულ წევრთა ბედისადმი ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას“.

ადამიანებისადმი შეუწყნარებელ, უსულგულო დამოკიდებულებას იჩენდნენ პარტიისა და ხალხის მტრები, საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის ყოფილი მდივნები, რომლებიც მოჩვენებითი სიფხიზლით, პარტიის რიგებიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრთა და კანდიდატთა ხელაღებით, დაუსაბუთებლად გარიცხვით ცდილობდნენ დაეფარნათ თავიანთი დანაშაულებრივი მუშაობა და თავი შეეწარჩუნებინათ პარტორგანიზაციაში.

საკმარისი იყო სულ უბრალო მიზეზი, რომ ხალხის გაბოროტებულ მტრებს კომუნისტები გაერიცხათ პარტიიდან. პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს მათ პარტბილეთი ჩამოართვეს 118 კომუნისტს, მათ შორის 19-ს „პასიურობისათვის“. ხოლო ხალხის ნამდვილ მტრებსა და ტროცკისტებს ისინი ყოველნაირად ხელს აფარებდნენ და პარტორგანიზაციაში ინარჩუნებდნენ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმმა სერიოზული ყურადღება მიაქცია პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების განხილვის საქმეს.

როგორ ასრულებს ზუგდიდის პარტიული ორგანიზაცია ცენტრალური კომიტეტის დირექტივას ამ საკითხში?

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომში 1938 წლის 20 იანვრიდან შემოსულია 67 საჩივარი, მათგან განხილულია—51. აღდგენილია პარტიის წევრის უფლებებში—21 კაცი, კანდიდატებად — 6, განუხილველია 16 გახცხადება. პარტკონტროლის კოლეგიიდან დაბრუნებულია 34 საჩივარი, განხილულია—34. აღდგენილია პარტიის წევრის უფლებებში 21 კაცი. სულ აღდგენილია 48 კაცი, აღდგენაზე უარი ეთქვა 43-ს.

პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას და გარიცხულთა აპელაციების განხილვისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლა ზუგდიდის პარტორგანიზაციამ დაიწყო ამ საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების შემოწმებისა და ახსნაგანმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით, რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა პარტიული კრებები.

პარტიულ კრებებზე კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელ ორგანოებში შეპარული მტრები უსპობდნენ მათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას. როდესაც პარტიული კომიტეტი წამოაყენებდა წინადადებას ამათუიმ კომუნისტის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, წინადადების წინააღმდეგ გამოსვლას ხალხის მტრის დაცვად სთვლიდნენ. გარიცხულთა შორის ბევრია ისეთი, რომელმაც პარტიიდან კომუნისტების უდანაშაულოდ გარიცხვის წინააღმდეგ ხმა ამოიღო. ბევრმა პარტიულმა კრებამ ამხილა პარტიიდან კომუნისტების არასწორად გარიცხვის ფაქტები და მიიღო ზომები დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

პარტიიდან სამართლიანად გარიცხულნიც ლამობენ თავიანთი დანაშაული ხალხის მტრებს მიაწერონ. ბევრი მათგანი თავის განცხადებას გარიცხვის გადასინჯვის შესახებ იმით ასაბუთებს, რომ ისინი გარიცხეს ხალხის უკვე მხილებულმა მტრებმა, თუმცა თავიანთი დანაშაული მათ იმ დროს აღიარებული აქვთ. განმეორებითი აპელაციების შემომტანთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ არსებობდა სათანადო მასალები პარტიიდან გარიცხვისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა „არაუგვიანეს 1938 წლის 15 თებერვლისა უზრუნველჰყონ სათანადო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საშუალებით საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა მიღება სამუშაოზე და შემდეგში არ დაუშვან ისეთი მდგომარეობა, რომ საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულნი სამუშაოს მოკლებულნი რჩებოდნენ“.

ამ დადგენილების გამოქვეყნებისს პარტიიდან გარიცხულ 48 კაცს სამუშაო არ ჰქონდა, მათგან 44 დღეს მოწყობილია შესაფერ სამუშაოზე.

პარტიის რიგებში აღდგენილებს პარტიული დავალებები ეძლევათ, არცერთი მათგანი არ არის დარჩენილი ისე, რომ პარტიული დავალება არ ჰქონდეს მიცემული. ისინი გამოყენებული არიან აგიტატორებად, წამკითხველ-მესაუბრეებად და სხვა პასუხსაგებ სამუშაოებზე.

ჩვენს წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალებისაგან პარტიისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გაწმენდა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

ზუგდიდის ბოლშევიკები, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებასა და ამხანაგ სტალინის მითითებებს, კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

ბრ. ჩაჩიბაია.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. მ. მურადაშვილი აცნობს პარტკომის წევრებს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის დადგენილებას პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

იზრდება კომუნისტთა აქტივობა

დარბაზში, სადაც პარტიული კრება უნდა შესდგეს, მრავალ კომუნისტს მოუყრია თავი. ამხანაგები ელიან კრების გახსნას. იციან, რომ დღეს კრებაზე შეჯამდება „თბილპურვაჭრობის“ პარტიული ორგანიზაციის განვლილი მუშაობის შედეგები და დაისახება პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

კრება დაგვიანებით დაიწყო, რადგან ზოგიერთმა კომუნისტმა დაიგვიანა. დღის წესრიგის დამტკიცებისა და რეგლამენტის განსაზღვრის შემდეგ კრებამ მოისმინა პარტკომის მდივნის ამხ. შ. ქაფიანიძის საანგარიშო მოხსენება, რის შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

— ჩვენთან, — ამბობს ამხ. ვ. გალავანევსკი, — პარტიული სწავლება ჯერ კიდევ უყურადღებოდაა მიტოვებული. პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელ წრეში (რუსულ ენაზე) თვენახევარია მეცადინეობა არ ჩატარებულა. აღნიშნული წრის პროპაგანდისტი ყოველ მეცადინეობის დღეს მივლინებაშია.

— არც სააგიტაციო მუშაობაა კარგად დაყენებული ჩვენთან, — ამბობს ამხ. შ. გურგენიძე,—საყ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნებამდე „თბილპურვაჭრობის“ პირველადი პარტორგანიზაციის კომიტეტი გარეთული იყო ცრუმამხილებული განცხადებების ქექვით.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ „თბილპურვაჭრობის“ პარტიული კომიტეტი სუსტად იბრძვის კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, აქ კომუნისტები ჯერ კიდევ ვერ ჩაუდგნენ სათავეში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას. მართალია „თბილპურვაჭრობის“ სამმართველოში, თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი მოწინავე სტახანოველთა სურათები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სტახანოველთა შორის თურმე საკმაოდ არიან ისეთი „სტახანოველები“, რომლებსაც უდისციპლინობისათვის, წონა-ზომაში მომხმარებელთა მოტყუებისათვის საყვედურები აქვთ გამოცხადებული.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს პარტკომის მდივნის მუშაობა, აღნიშნეს, რომ საანგარიშო მოხსენებაში მან ცოტა ილაპარაკა საკუთარ შეცდომებზე, თავის ანგარიშში კონკრეტულად არაფერი თქვა, თუ როგორ იბრძოდა პარტიული კომიტეტი კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების, პარტიული კრებების მომზადების, პარტორგანიზაციების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისა და პარტიიდან უდანაშაულოდ გარიცხულ კომუნისტთა აღდგენისათვის.

კამათში გამოსული კომუნისტები მომხსენებლისაგან მოითხოვდნენ არა მარტო ციფრებს (რომლებიც სჭარბობდა მის მოხსენებაში), არამედ ცოცხალ ადამიანთა ჩვენებასაც და იმას, თუ როგორ იბრძოდა პარტიულ ორგანიზაცია სიფხიზლის ამაღლებისათვის, ხალხის მტრების განადგურებისათვის.

„თბილპურვაჭრობის“ პარტკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და კრებამ მიიღო მომავალი მუშაობის ღონისძიებანი.

ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა პარტკომი 5 წევრის შემადგენლობით და კიროვის სახელობის რაიონულ პარტკონფერენციაზე გასაგზავნად 2 დელეგატი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტორგანიზაციის ზოგიერთი წევრები კარგად მომზადებული ვერ შეხვდნენ პარტორგანოების არჩევნებს. ზოგი ჯერ კიდევ ვერ დაუფლებია პარტორგანოების არჩევნების ჩატარების ტექნიკას. მაგალითად, დამთვალერმა კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგების გამორკვევას სრული 4 საათი მოანდომა. ეს იმის შედეგია, რომ საარჩევნო ინსტრუქცია აქ კარგათ არ შეუსწავლიათ. დამთვალერი კომისიის წევრთა მოუქნელი მუშაობის გამო 9 აპრილს საღამოს 7 საათზე დაწყებული კრება 10 აპრილის დილის 5 საათამდე გაგრძელდა.

ა. გვინჭიძე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

„სამტრესტის“ ღვინის პირველი ქარხნის (ორჯონიკიძის რაიონი) პირველადი პარტიული ორგანიზაციის საარჩევნო კრება 10 აპრილს დანიშნულ დროზე დაიწყო. პარტორგანიზატორი ამხ. ალ. ჯაფარიძე თავის თვითკრიტიკულ მოხსენებაში ვრცლად შეეხო ორგანიზაციის განვლილ მუშაობას და აღნიშნა შემდეგი: პარტორგანიზაციას მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აქვს ნაკლი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ჯაგიტაციო მუშაობა სუსტია. ორგანიზაციის ზრდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულია ორი კაცი და პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია ექვსი კაცი, რაც არ არის საკმარისი. ქარხანაში არის 32 საუკეთესო სტახანოველი, რომელთა შორის ბევრი საკმაოდ მომზადებულია თანამგრძნობთა ჯგუფში მისაღებად. შემდეგ ამხ. ალ. ჯაფარიძემ აღნიშნა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტე. ამის შედეგია, რომ მთელი წლის განმავლობაში კომკავშირში მხოლოდ ორი კაცი მიიღეს.

კარგად მუშაობენ პროფპოლიტწრეები, რომლებშიაც 70 კაცია გაერთიანებული. ამჟამად წრეებში გაცხოველებით სწავლობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას.

ქარხანას გასული წლის გეგმა 124 პროცენტით აქვს შესრულებული, მიმდინარე წლის პირველი კვარტალისა კი 108 პროცენტით. ამაში პარტორგანიზაციამ დიდი როლი ითამაშა. კომუნისტები და კომკავშირელები მოწინავე სტახანოველები არიან. პარტორგანიზაცია განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სტახანოველთა დაწინაურების საქმეს. ამხ. ნათაძე წინათ მუშაობდა ღვინის ჩამომსხმელად, ახლა შეფუთვის საამქროს ოსტატია. ასევე დაწინაურებულ იქნა ამხ. მ. გოგიაშვილი და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხ. ნ. მეზვრიშვილმა სთქვა: საანგარიშო პერიოდში სუსტი იყო პოლიტსკოლებში მასალის შეთვისების ხარისხი, ცალკეულ კომუნისტთა თვითანგარიში პარტორგანიზაციას არცერთხელ არ მოუსმენია. ამხანაგებმა მ. გოგიაშვილმა, ლ. შაქარაშვილმა, კ. რთველაძემ, ნ. სხირტლაძემ და ორჯონიკიძის პარტკომის ინსტრუქტორმა ამხ. კ. შენგელიამ მკვეთრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მუშაობა. შემდგომი მუშაობისათვის კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგად და რაიონულ პარტკონფერენციის დელეგატად ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა ამხ. ალ. ჯაფარიძე.

კლ. გოგიავა.

მზადება ხელმძღვანელი პარჯიული ორგანოების არჩევნებისათვის

აფხაზეთი

სოხუმი, 13 აპრილი (ჩვენი საკ. კორ). აფხაზეთის პარტორგანიზაციებში წარმატებით გაიშალა მზადება ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა 5 აპრილს მიიღო დადგენილება აფხაზეთში პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

აფხაზეთის ოლქკომმა მიიღო საჭირო ზომები კომუნისტებისათვის ც. კ-ის აღნიშნული დადგენილების გასაცნობად. გარდა იმისა, რომ პარტიული განათლების ქსელი ამჟამად გადაყვანილია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 29 მარტის დადგენილების შესწავლაზე, საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ტარდება ამ დადგენილებისა და ინსტრუქციის ხმამაღალი კითხვა, აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრენი აქტიურად მუშაობენ და გულდასმით განუმარტავენ მშრომელთ დადგენილებას არჩევნების ჩატარების შესახებ.

გ. მერკვილაძე.

ბათუმი

ბათუმი, 10 აპრილი (ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან). აჭარის პარტიული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში ჩატარდა პარტკომის მდივნებისა და პარტორგების საინსტრუქციო თათბირები.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში წარმატებით მიმდინარეობს ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისა და ინსტრუქციის შესწავლა.

საოლქო კომიტეტის ბიურომ შეიმუშავა აჭარის პარტიულ ორგანიზაციებში არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა. ბათუმის პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდება 13 აპრილიდან 9 მაისამდე. 13 აპრილს საანგარიშო-საარჩევნო კრებები მოწვეულია ბათუმის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკის, სტამბის, ბათუმის კვანძის სავაგონო და საორთქლმავლო დეპოების და ქალაქის მთელ რიგ სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

ბათუმის მესამე საქალაქო პარტკონფერენცია მოწვეულია 27 მაისისათვის; ხუთს რაიონში პარტორგანიზაციების რაიონული პარტკრება მოწვეული იქნება 15 მაისს; ქედის რაიონში 17 მაისს; ბათუმის რაიონში — 23 მაისს; ხოლო ქობულეთის რაიპარტკონფერენცია — 25 მაისს.

აჭარის პარტიული ორგანიზაციების მე-17 პარტკონფერენცია მოწვეულია 8 ივნისს.

ქ. დოლბორჯგინიძე.

ბორჯომი

ბორჯომის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის.

რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში გულმოდგინედ კითხულობენ და სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებასა და ინსტრუქციას ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე პარტიის რაიკომში ჩატარდა პარტკომის მდივნების, პარტორგანიზატორებისა და მთელი აქტივის საინსტრუქციო თათბირი. თათბირის მონაწილენი გაეცნენ რაიონულ პირველადს პარტორგანიზაციებში არჩევნების ჩატარების კალენდარულ გეგმას.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები ბორჯომის რაიონში კალენდარული გეგმის მიხედვით 15 აპრილს უნდა დაიწყოს. ამ დღეს არჩევნები ჩატარდება საკარე ქარხნის, შუშის ქარხნის, ჩამომსხმელი ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს, პარტკომის და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში.

გრ. ლომიძე.

თიანეთი

თიანეთი, 10 აპრილი (ტელეფონით საკ. ორგსპონდენტისაგან). თიანეთის რაიონში ფართოდ გაიშალა მზადება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის.

დღეს მოწვეულ იქნა რაიკომის მუშაკების, პროპაგანდისტების და პარტორგების რაიონული საინსტრუქციო თათბირი.

რაიკომის მეორე მდივანმა თათბირის დამსწრეთ გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და ინსტრუქცია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შესახებ.

ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ.

ზ. ხინჩაგა

პრ. რატიანი

პარჯიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1938 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებაში „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ჩაატარონ მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი ყოველმხრივი აღმავლობის ნიშნით; პარტორგანოების არჩევნებმა უნდა უზრუნველჰყონ პარტორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და პარტიული ცხოვრების ყოველ უბანზე მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.

პარტიის რაიონულ კომიტეტებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებით მოეპოვებათ ისეთი სერიოზული საშუალება, როგორიცაა ინსტრუქტორთა აპარატი. ინსტრუქტორის მუშაობას, მის დახმარებას პირველადი ორგანიზაციებისადმი — გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამხანაგი ლ. მ. კაგანოვიჩი საოლქო და სამხარეო კომიტეტების ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებათა გამგეების თათბირზე 1934 წელს ამბობდა, რომ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორები „უნდა გახდნენ პარტიული აპარატის უმნიშვნელოვანესი რგოლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, (ცენტრალური ფიგურა... ინსტრუქტორთა როლი განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია. ყველამ ვიცით, რა ფასი აქვს ქაღალდზე დაწერილ გადაწყვეტილებებს, თუ არ არიან ადამიანები, რომლებიც წინ სწევენ და კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ინსტრუქტორები უნდა იყვნენ პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლნი, ისინი უნდა იყვნენ დამაკავშირებელი რგოლი პირველადს პარტორგანიზაციებსა და რაიკომ-ქალაქკომებს შორის“.

პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორები პირველადს პარტორგანიზაციებს სისტემატურად უნდა უწევდნენ ნამდვილ, კონკრეტულ დახმარებას პარტიის ზრდის საქმეში, კომუნისტების აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებაში, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების სწორად შედგენაში და სხვ., ინსტრუქტორმა კვალდაკვალ უნდა მისდიოს რაიკომების, პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებებს და უზრუნველჰყოს მათი ზედმიწევნით გატარება ცხოვრებაში.

მაგრამ თავისი დიდი და საპატიო მოვალეობის წარმატებით შესრულებას ინსტრუქტორი შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიონული კომიტეტის მდივნები სისტემატურად დაეხმარებიან მას, შეუქმნიან პირობებს ნორმალური მუშაობისათვის და არ დატვირთავენ სხვა, არაპირდაპირი სამუშაოთი.

როგორ მუშაობენ სინამდვილეში ჩვენი რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორები, რა ნაკლოვანებები აქვთ თავიანთ მუშაობაში და როგორ ეხმარებიან მათ რაიკომთა მდივნები?

მაგალითისათვის ავიღოთ საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომი.

ჭიათურის რაიკომის ხელმძღვანელობაში მთელი რიგი წლების მანძილზე მოკალთებული იყვნენ ხალხის მტრები, რომლებიც განზრახ იწვევდნენ არევ-დარევას პარტორგანიზაციების მუშაობაში, რათა გაეადვილებინათ თავიანთი ბნელი მიზნების განხორციელება. რაიკომის ინსტრუქტორები მუშაობდნენ ყველაფერზე, გარდა პარტიული საკითხებისა. ისინი უშუალოდ ერეოდნენ რაიმიწგანისა და მარგანეცის ტრესტის ფუნქციებში, ხოლო პარტიული მუშაობა მივიწყებული იყო.

რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ შეუდგა ინსტრუქტორთა აპარატის მუშაობის მოწესრიგებას. რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. ჟორჟოლიანი სისტემატურად, ყოველ დეკადაში იწვევს რაიკომის ინსტრუქტორთა თათბირებს, რომლებზედაც ინსტრუქტორები გამოდიან საინფორმაციო მოხსენებებით თავიანთი მუშაობის შესახებ პირველადს პარტორგანიზაციებში, ლაპარაკობენ ნაკლსა და მიღწევებზე და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობისათვის. ამ გზით ბევრი ნაკლი იქნა გამოსწორებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ინსტრუქტორები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლოვანებანი.

მაგალითისათვის გავეცნოთ საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ორი ინსტრუქტორის, — კერძოდ ამხ. ს. დოლიძისა და შ. აბრამიშვილის მუშაობას, რომელთაგან პირველი მუშაობს მრეწველობის ზონაში, ხოლო მეორე — სოფლის მეურნეობის ზონაში.

ამხ. სერგო დოლიძე ორი წელია, რაც ამ რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობს. მის საინსტრუქტორო ზონაში შედის 8 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლებშიც გაერთიანებულია 389 კომუნისტი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამხ. ს. დოლიძე ცუდი მუშაკია, პირიქით, იგი ენერგიულად მუშაობს, ძალიან ხშირად დაიარება მაღაროებში, იცნობს თავის ზონაში შემავალ თითქმის ყველა კომუნისტს, ეხმარება მუშაობაში პირველადი ორგანიზაციების პარტკომებს და სხვ., მაგრამ მისი დახმარება არ არის სისტემატური და კონკრეტული; მაღაროებში ყოფნისას დროის უმეტეს ნაწილს იგი ანდომებს მისთვის ისეთ არაპირდაპირ საქმეებს, როგორიცაა, მაგალითად, მუშა-ხელის მომარაგება, მაღაროში უშიშროების წესების დაცვა და სხვ. პარტიული ცხოვრების საკითხებს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

უკვე ხუთი თვეა, რაც ბერიას სახელობის № 11 მაღაროს პარტორგანიზაცია ამხ. დოლიძის საინსტრუქტორო ზონაში მოექცა. ამ ხნის განმავლობაში დოლიძე, როგორც თვითონ აცხადებს, ამ მაღაროში 10-ჯერ იყო. მაგრამ მხოლოდ ერთხელ (მიმდინარე წლის თებერვალში) დაინტერესდა გამოერკვია პარტიული ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა პარტიის რეზერვებთან მუშაობა, კომუნისტების აღრიცხვის მდგომარეობა და პარტიის რიგების ზრდა. რა აღმოჩნდა?

რაიკომში ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით ბერიას სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციაში თანამგრძნობთა ჯგუფის 21 წევრი ირიცხებოდა; შემოწმების შემდეგ კი გამოირკვა, რომ თანამგრძნობთა ჯგუფში მხოლოდ 7 კაცი ყოფილა და მათს შორისაც არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა.

მოუწესრიგებელი აღმოჩნდა კომუნისტების აღრიცხვაც. კომუნისტი ამხ. ე. ერგემლიძე ოთხი თვის წასული იყო წარმოებიდან, მაგრამ ორგანიზაციიდან წასელა კიდევ არ ჰქონდა გაფორმებული. ასევე გაუფორმებელი ჰქონდა თავისი გადასვლა სხვა ორგანიზაციაში კომუნისტს ამხ. ა. შეყილაძეს, რომელიც ერთი თვის წასული იყო წარმოებიდან და ა. შ.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებაზე ძალიან სუსტად მუშაობდნენ; მაშინ როდესაც ამ მაღაროში 600-ზე მეტი კაცი მუშაობს, რომელთაგან 206 სტახანოველია, ამ დროისათვის თანამგრძნობთაგან პარტიაში მხოლოდ ერთი კაცი იყო მიღებული.

ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია სხვა მაღაროების პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაშიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ მაღაროების ზონის ინსტრუქტორი ამხ. ს. დოლიძე ამ ორგანიზაციებს ვერ უწევს სისტემატურ, ნამდვილ დახმარებას, ყურადღებით არ ეცნობა მათი ცხოვრების ყოველ უბანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამხ. ს. დოლიძე მეტისმეტად გადატვირთულია: წინათ მაღაროების ზონით ორი ინსტრუქტორი მუშაობდა, ახლა კი იგი მარტოა. გარდა ამისა, ამხ. დოლიძე არჩეულია რაიკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად და არის პროპაგანდისტი.

მეორე ინსტრუქტორი ამხ. შ. აბრამიშვილი ავრეთვე ორი წელია, რაც რაიკომში ამ თანამდებობაზე მუშაობს, წინათ კი იგი ბერიას სახელობის მაღაროს პარტკომის მდივნად მუშაობდა. იგი ენერგიული კომუნისტია და თავის მოვალეობას კარგად ასრულებს, მაგრამ მასაც დაახლოებით იგივე ნაკლი აქვს, რაც ამხ. ს. დოლიძეს.

— მხოლოდ ამ ბოლო დროს მოვიდეთ სერიოზულად ხელი პარტიულ საკითხებზე მუშაობას,—გაანაცხადა ჩვენთან საუბარში ამხ. აბრამიშვილმა, მანამდე კი მიწყანის ინსტრუქტორები უფრო ვიყავით, ვიდრე რაიკომისა.

ეს მართალია. ჭიათურის რაიკომის ინსტრუქტორები მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მიუბრუნდნენ პარტიულ საკითხებს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ინსტრუქტორთა გეგმების შედგენა, რომლებსაც წინასწარ ათანხმებდნენ რაიკომის მდივანთან, მაგრამ შეადგენდნენ რა გეგმას, შემდეგ სრულებით აღარ მუშაობდნენ ამ გეგმის მიხედვით, ბოლოს კი, სამწუხაროდ, გეგმების შედგენას სულაც დაანებეს თავი.

ინსტრუქტორი უგეგმოდ არ უნდა მუშაობდეს. ჩვენის აზრით, ოპერატიული მუშაობის გეგმების შედგენა და მათი მტკიცედ განხორციელება აუცილებელია ინსტრუქტორის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

იაპონელთა პროვოკაცია, რომელიც მარცხით დამთავრდა

(გემ „კუზნეცკსტროის“ კაპიტნის ამხ. ვ. ხ. კალიტაევის ნაამბობი).

ვლადივოსტოკი, 10 აპრილი (საკადესი). 9 აპრილს ღამით ვლადივოსტოკის ნავსადგურში ჩამოვიდა საბჭოთა გემი „კუზნეცკსტროი“, რომელიც 48 დღეს იაპონელთა ტყვეობაში იმყოფებოდა.

— თებერვალს, — ამბობს „კუზნეცკსტროის“ კაპიტანი ვ. ხ. კალიტაევი, — მას შემდეგ, რაც კამჩატკის პეტროპავლოვსკში განვიტვირთეთ და მგზავრები ავიყვანეთ, ჩვენ ვცუშვით ღუზა და კურსი ავიღეთ ვლადივოსტოკისაკენ. ხუთ დღეს ხელსაყრელ პირობებში მივდიოდით. 17 თებერვალს, საღამოს, როცა სანგარის სრუტეს გავდიოდით, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, გემი უტვირთოდ მიდიოდა. შემხვედრი ციკლონი გემს აქეთ-იქით ახეთქებდა. ხომალდმა მართვის უნარი დაჰკარგა. ქარიშხლის დროს მე რადიოთი ორჯერ ვაცნობე იაპონიის ნავსადგურ ხაკოდატეს ხელისუფლებას, რომ იძულებული ვიქნები შევიდე ამ ნავსადგურში და იქ შევჩერდე.

ქარიშხალი ძლიერდებოდა. წინწაწევა სრულიად შეუძლებელი გახდა. 19 თებერვალს, ღამის 1 საათზე „კუზნეცკსტროიმ“ ჩაუშვა ღუზა ხაკოდატეს გარე რეიდზე. საღილობისას ქარიშხალი ჩადგა, და გემი წავიყვანე ნავსადგურში, რათა ქვანახშირის მიღების შემდეგ, კვლავ ვლადივოსტოკისაკენ გავმგზავრებულიყავი.

ნავსადგურში ჩვენს გემს შეხვდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ ღებულობენ უცხოეთის გემს. დოკუმენტების გაფორმებისა და გემის დათვალიერებისას ნავსადგურის ხელისუფლებას ჩვენთვის არავითარი პრეტენზია არ წაუყენებია. როცა კი ყველა ფორმალობა დამთავრდა, „კუზნეცკსტროიზე“ გამოცხადდა საზღვაო პოლიციის რაზმი 15 კაცის შემადგენლობით. პოლიციელებს განზრახვა ჰქონდათ გაეჩხრიკათ გემი. მე, როგორც გემის კაპიტანმა, და იმ დროს გემზე მყოფმა საბჭოთა კონსულმა გადაჭრითი პროტესტი ვაცხადეთ პოლიციის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და გაჩხრეკის ნება არ დავრთეთ.

20 თებერვალს დილით ჩვენ დავიწყეთ მზადება ქვანახშირის დასატვირთავად, მაგრამ ქვანახშირი არ მოგვცეს. მალე გემზე მოვიდნენ პოლიციის გაძლიერებული რაზმი, ორი პროკურორი, გამომძიებლები, თარჯიმანი — სულ 50 კაცამდე. მათ შორის, როგორც შემდეგ გამოირკვა, იყვნენ ავრეთვე იაპონიის დაზვერვის აგენტები. თარჯიმანმა გადმომცა, რომ ისინი მოვიდნენ, რათა გაჩხრიკონ გემი და დამკითხონ. მე კვლავ კატეგორიული პროტესტი განვაცხადე და აღვნიშნე, რომ იაპონიის ხელისუფალთა მოქმედება უკანონოდ მიმაჩნია. იაპონელები დაჟინებით თავისას ადგნენ. მაშინ მე მოვითხოვე გამოეხმოთ გემზე საბჭოთა კონსული, ხომალდზე მოსულმა კონსულმა საბჭოთა მთავრობის სახელით გადაჭრილი პროტესტი განაცხადა.

თავდასხმის დროს იაპონელები უბოდიშოდ იქცეოდნენ, შედიოდნენ გემის სადგომებში, უხეშად ეპყრობოდნენ კომანდასა და მგზავრებს.

ერთმანეთთან თათბირის შემდეგ, იაპონიის პოლიციის ერთმა მოხელემ გამოაცხადა, რომ საბჭოთა გემი დაკავებულია და საბჭოთა კავშირის კონსულმა იგი უნდა დასტოვოს. მე მოვითხოვე წარმოედგინათ გემის დაკავების ორდერი.

გემის დაკავების გამოცხადების შემდეგ პროკურორები და გამომძიებლები შეუდგნენ ჩემს დაკითხვას, რომელიც დღის 4 საათიდან ღამის 2 საათამდე გრძელდებოდა. დაკითხვას აწარმოებდა პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

იაპონელები ყველაზე ნაკლებად ეხებოდნენ ხაკოდატეში „კუზნეცკსტროის“ შესვლის გარემოებებს, მათ ყველაზე მეტად აინტერესებდათ ჩვენი წითელი არმიის შეიარაღება და მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. მე იქვე აღშფოთებით უარვყავი ამგვარი კითხვები.

დრო უკვე შუაღამეს დიდად იყო გადაცილებული, როცა იაპონელები ნაპირისაკენ გაემართნენ, გემზე კი დასტოვეს სამი პოლიციელი.

შეორე დღეს „კუზნეცკსტროიზე“ კვლავ გამოცხადდა საზღვაო პოლიცია და წარმოგვიდგინა გემის დაკავების და ჩემი დაპატიმრების ორდერები. იქვე საზღვაო პოლიციის ერთერთმა მოხელემ განაცხადა, რომ ისინი შეუდგებიან იარაღის ძებნას გემზე. გაჩხრეკის დროს, რაც დიდხანს გრძელდებოდა, იაპონელები უბოდიშოდ იქცეოდნენ. კაპიტნის მესამე თანაშემწეს ამხ. სტეპანოვს სცემეს, რის შესახებაც შედგენილ იქნა სამედიცინო აქტი. იაპონელები უცერემონიოდ ეკიდებოდნენ მგზავრებისა და კომანდის ნივთებსაც.

გაჩხრეკის შემდეგ მე მცველების თანხლებით წამიყვანეს საზღვაო პოლიციის საპყრობილეში, სადაც გავატარე 22 თებერვლის საღამო.

თვით 5 მარტამდე პოლიცია და იაპონიის დაზვერვის აგენტები ყოველდღე ეწეოდნენ კომანდისა და მგზავრების დაკითხვას. მთელ დაკითხვას აშკარა პროვოკაციული, ჯაშუშური ხასიათი ჰქონდა.

5 მარტს იმ საბაბით, რომ პროკურორს გემზე მოსვლა არ შეუძლიაო, ეკიპაჟიდან სამი კაცი და ორი მგზავრი ნაპირზე წაიყვანეს. გემზე ისინი ღამით გვიან დაბრუნდნენ. დაკითხვის დროს, რაც იაპონიის დაზვერვაში ხდებოდა, საბჭოთა მოქალაქეებს კვლავ აძლევდნენ კითხვებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თავდაცვას შეეხება, და იქვე სთავაზობდნენ ფულს. დაკითხვის დამთავრების შემდეგ მათ უბრძანეს არავისთვის ეთქვათ, თუ სად იყვნენ და ვინ დაჰკითხა ისინი, წინაღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ სასამართლოთი, საპატიმროთი და კატორღით.

6 მარტს იაპონელები ცდილობდნენ კიდევ წაეყვანათ ნაპირზე 10 კაცი, მაგრამ მე ამას წინააღმდეგობა გავუწიე.

9 მარტს „კუზნეცკსტროიზე“ გამოცხადდა დაახლოებით 60 იაპონელი. კვლავ გაჩხრიკეს ჩემი კაიუტა, დამაპატიმრეს მე და კიდევ 24 კაცი.

სამ დღეს ვიჯექი იაპონიის საზღვაო პოლიციის საპატიმროში, შემდეგ გადამიყვანეს ქალაქის საპატიმროში. ეკიპაჟის დაპატიმრებული წევრების და მგზავრების დაკითხვას დაზვერვა სამ დღეს აწარმოებდა, განსაკუთრებით აწამებდა და აბუჩად იგდებდა მათ, ამასთან ცდილობდა თავის აგენტებად გაეხადა საბჭოთა მოქალაქეები. კვლავ სთავაზობდნენ ფულს, აშინებდნენ და მოითხოვდნენ სამშობლოს ღალატს. ღირსეულად, ისე როგორც ეს საბჭოთა მოქალაქეებს შეჰფერის, ეჭირათ თავი მუდამ „კუზნეცკსტროის“ ეკიპაჟსა და მგზავრებს.

მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა მათი მრავალი ცდა მიეღოთ საბჭოთა გემის მგზავრებისა და ეკიპაჟისაგან რაიმე მასალები, რომლებიც გაამართლებდა იაპონელთა თავხედურ პირატულ მოქმედებას, შეითხზნეს საქმე, რომლითაც მე, როგორც კაპიტანს, ბრალი დამდეს იაპონიის წყლებში უკანონოდ შესვლაში.

პირველი პროცესი მარტის შუა რიცხვებში შესდგა. სასამართლომ მომისაჯა ერთი წლის პატიმრობა ან 1500 იენი ფულადი ჯარიმა. მაგრამ მე არ გამათავისუფლეს და გემის დაკავებას განაგრძობდნენ. ეს განაჩენი პროკურორმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

განაჩენი მეორე პროცესის შესახებ 6 აპრილს გამოიტანეს. საოლქო სასამართლო იძულებული იყო დაედასტურებინა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ჯარიმის შესახებ.

6 აპრილს გამათავისუფლეს. 7 აპრილს „კუზნეცკსტროი“ ვლადივოსტოკში გავიდა.

ꕥ

9 აპრილს ვლადივოსტოკში „კუზნეცკსტროის“ მოსვლისთანავე გემზე შესდგა მიტინგი. კომანდა დიდად გახარებული იყო საყვარელ სამშობლოში დაბრუნებით.

„კუზნეცკსტროის“ მეზღვაურებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვსა და ჟდანოვს, რომელშიაც მხურვალე მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას, პარტიასა და პირადად ამხანაგ სტალინს იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მათ მიმართ გამოიჩინეს.

პოეზი გ. ჭაღალიდელი

დღეს სრულდება ორმოცი წელი პოეტ ჭაღალიდელის (გიორგი მაჭისშვილ-ძე ჭოლოყაშვილის) გარდაცვალებიდან.

გ. ჭაღალიდელი თერგდალეულთა სკოლის წარმომადგენელია. იგი მსოფლმხედველობით დიდი ქართველი, კლასიკოსების ილიას და აკაკის წრესა და მიმართულებას ეკუთვნის.

გ. ჭაღალიდელი დაიბადა სოფ. ჭაღალიდეში 1847 წელს 15 ივნის. საზოგადოებაში კარგად ცნობილმა და ავტორიტეტიანმა პირმა მაჭისმე ქოჩაქიძემ შვილი შეიყვანა ჭუთაისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში. გიორგიმ ეს პანსიონი დაამთავრა 1869 წელს. ლექსების წერა გიორგიმ მოწაფეობაში დაიწყო. მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“ და ძალიან სწრაფად გრცელდებოდა ხალხში. ბიძის ნრეფითა და დახმარებით იგი წავიდა რუსეთში, სადაც 1870 წ. სამხედრო სამსახურში შევიდა. გ. ჭაღალიდელი გარდაცვალა ქ. მინსკში 1898 წ. დასაფლავებულია სოფ. ჭაღალიდეში.

გ. ჭაღალიდელს საკმაოდ ბევრი ლექსი, სცენები და წერილები აქვს დაწერილი. თავის ნაწარმოებებში იგი აგვიწერდა ძველი ცხოვრების პირობების დრომოჭმულობას, უგვარგისობას. გ. ჭაღალიდელის ლექსები: „ქება შრომას“, „სიმღერა“, „იმედი“, „მოგონება“, „ფიცხა“ პოპულარული ლექსებია, ბევრი მათგანი ხალხის სასიმღერო ლექსად გამხდარა. ვის არ გაუგონია

„მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე მომამზადეს,
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შინაურად მე გამომცადეს...

ვის არ სმენია მშვენიერი სიმღერა:

„მიყვარს ფიცხა მე მორთული,
მთა-კორტხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილი წკნელით ჩახლართული.

თავისი ლექსებით გ. ჭაღალიდელი უმღერდა ხალხის შრომას, სამშობლოს, ნატრობდა მის განთავისუფლებას, მის აყვავებას. ჭაღალიდელის ლექსები თავის დროზე მოსწონდათ: ი. ჭავჭავაძეს, ნ. ნიკოლაძეს. სამართლიანად უთქვამს აკაკი «წერეთელს, რომ „ჭაღალიდელმა თავისი ნიჭი ზარბაზნების ქვაღლში გაბუდა“. თავისი სადა ენით და ხალხური მეტყველებით ჭაღალიდელმა სიყვარული დაიმსახურა ხალხში.

გ. ჭაღალიდელის ლექსების კრებული გამოცა 1913 წელს. სასურველი იქნებოდა გ. ჭაღალიდელის ნაწერები ხელახლა გამოცემულიყო.

ლ. კუპუხიძე.

შაღიაპინის გარდაცვალება

პარიზი, 13 აპრილი (საკადესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ პარიზში 65 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი ფ. ი. შალიაპინი.

ფეიგაზურთი

„მეჯაღუაგი“ — „დინამო“

12 აპრილს მოსკოვის „მეტალურგის“ ოტატთა გუნდმა თბილისში ჩატარა მეორე საწრთვილი — ამხანაგური მატჩი. ამ დღეს მოსკოველების წინააღმდეგ გამოვიდა თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. მოსკოველები ანვითარებენ მოხდენილ კომბინაციურ შეტევებს და პირველი წუთებიდანვე საკმაო სამუშაოს უქმნიან თბილისელების დაცვას.

თამაშის მე-16 წუთია. მოსკოველები თავიანთი მეკარისაგან მიღებული ბურთის შეწყობილი გადაცემით მიიჯრნენ „დინამოელების“ კართან. დოროხოვი ბურთის ისაღებად გამოვარდა კარიდან, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა. კართან არეულობა შეიქმნა. ამით ისარგებლა „მეტალურგელმა“ პოტაპოვმა და პირველი ბურთი გაჰგზავნა თბილისელების ბადეში.

თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო. „დინამოელები“ თავგამოდებით იბრძვიან საპასუხო ბურთისათვის. ისინი ზშირად იჯერებიან სტუმრების კართან.

მე-30 წუთია. ბურთი მოსკოველების საკარიმო მოედანზე ტრიალებს. თბილისელების ცენტრ-თავდამსხმელმა ბერეჟნოიმ ბურთი ნელა გააგორა ბადისკენ, მას მიესწრო მარცხენა გარემაბმა სომოვი და ბადეში მოაქცია სპასუხო ბურთი.

ანგარიშის გაქვითებას მოსკოველებმა ძლიერი კონტრშეტევით უპასუხეს, რის გამო დროხოვს საკმაოდ ძლიერი ბურთების აღება მოუხდა.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

თამაშის მეორე ნახევარი თბილისელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. ისინი მთელი 30 წუთის მანძილზე ჩასახლდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. „დინამოელთა“ თავბრუდამხვევ შეტევებს „მეტალურგელებმა“ დაუპირისპირეს ეხერგიული და მოფიქრებული დაცვა, მათ რამდენჯერმე იხსნეს თავიანთი კარი ნაღდი გოლისაგან.

33-ე წუთზე უხეში თამაშისათვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მ. ბერძენიშვილი, რამაც საგრძნობლად შეასუსტა თბილისელთა თავდასხმის ხაზი და საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს თამაში გადეტანა „დინამოელთა“ მოედანზე.

თამაშის უკანასკნელი წუთია. დინამოელმა სომოვმა მოხდენილად გაარღვია დაცვის ხაზი, სწრაფად მიიჭრა „მეტალურგელების“ კართან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ გამოიყენა ანგარიშის გადიდების საშუალება და ნელა დარტყმული ბურთი ხელში ჩაუგდო მოწინააღმდეგის მეკარეს.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

ხ. ბერგაძე.

ღეჩხუმში თოვს

ცაგერი, (ტელეფონით სპკ. კორ.). წელს ლეჩხუმში ზამთარი ძალიან გაჭიანურდა. მარტში და აპრილის დამდეგს რაიონის ყველა სოფელში დიდი თოვლი მოვიდა.

მოსახლეობამ პირველად 9 აპრილს იგრძნო გაზაფხულის მზის სითბო, მაგრამ 10 აპრილს ამინდი ისევ შეიცვალა.

12 აპრილს ღამით ლეჩხუმის მეტწილ სოფლებში კვლავ თოვდა. რაიონის მაღლობ სოფლებში დღესაც თოვს.

გ. ყურაშვილი.

ახალი ამბები

თბილისის საბჭოს საბინაო სამმართველოსთან ჩამოყალიბებულია პასუხისმგებელ აშრომელთა ჯგუფი საეციალური სახლებისა და ბინების შესახებ სამეურნეო ადმინისტრაციული საკითხების მოსაგვარებლად.

თბილავტოტრანსს წინადადება აქვს შეცემული რეალიზაცია უყოს მის გახკარგულებაში არსებულ პატარა ავტობუსებს (გაზ-აა) და მათ მაგიერ შეიძინოს დიდი ავტობუსები.

ახალი ვაგონები ფუნიკულორისათვის უნდა დაამზადოს ამ ზაფხულისათვის თბილისის ტრამვაის დირექციამ. ახალი ვაგონების დამზადების პროექტი დაამუშავა თბილისის საბჭოს საპროექტო განყოფილებამ.

თბილისის იპოდრომზე

12 აპრილს თბილისის იპოდრომზე შედგა ცხენოსნურ-სპორტული დღესასწაული მოწყობილი ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ.

დღესასწაულში მონაწილეობდნენ ვოროშილოველი ცხენოსნები და ქართული ცხენოსანთა ლეგიონის მებრძოლები.

ნაჩვენები იყო სხვადასხვაგვარ დაბრკოლებათა გადალახვა და ქართული ნაციონალური ცხენოსნურ-სპორტული თამაშობანი: „ჯირითი“, „ლელო“ და სხვ.

დღესასწაულმა საინტერესოდ ჩაიარა. მას დიდძალი ხალხი დაესწრო.

სურათზე: მხედარი დაბრკოლების გადალახვისას.

ფოტო რ. აკოფოვისა.

აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი შიუდაც მამედოვა შახსენუმის როლში, ოპერა „შახსენემი“.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროფპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

14 აპრილს.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია სამოქალაქო ომის პერიოდში (1918-1920 წ.). რუსულ ენაზე კონსულტანტი ამხ. დაისი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: პროლეტარიატის დიქტატურა როგორც უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების იარაღი. ქართულ ენაზე კონსულტანტი ამხ. მოისწრაფიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ესპანეთის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. ქართულ ენაზე კონსულტანტი ამხ. ჭოლოძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ꕥ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ლევან ვართანის-ძე ავანოვს, ალექსანდრე დავითის-ძე ბარათაშვილს, სამსონ აკოფოვიჩ ბოტოიანს, გიორგი ნიკოლოზის-ძე გოგოლაძეს, სოლომონ ბესარიონის-ძე გოქაძეს, ოლღა სტეფანეს-ასულ ღუდუშაურს, სეკერიანე გიორგის-ძე ძაგანიას, ვალერიან ანდრიას-ძე ძნელაძეს, გრიგოლ ეფენტს (საბაზრო კომიტეტის ყოფ. მუშაკი), ვასილ გიორგის-ძე კვინიკაძეს, ირაკლი იოსების-ძე ქორქაშაძეს, დავით კონსტანტინეს-ძე კუტალაძეს, ხარატურ გრიგოლის-ძე ბატოიანს, დიმიტრი ემელიანეს-ძე პიზიკს, მიხეილ კონსტანტინეს-ძე პოპოვს, მიხეილ სერგის-ძე სარქისოვს, ემელიანე ანთიმოზის-ძე სიხარულიძეს, პეტრე თამირის-ძე თამიროვს, ვლადიმერ ვასილის-ძე ტიგიშვილს, ვლადიმერ ივანეს-ძე ტუხაშვილს, და ყირგი გიორგის-ძე ხიტარიას სამი დღის ვადაში გამოეცხადებინათ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

ꕥ

პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხანაგებს: ვლადიმერ ზაქარიას-ძე ნუგზარაშვილს, ისაკ იაკობის-ძე ჯანაშვილს, ქეთო ერასტის-ასულ კერესელიძეს და მიტროფანე პეტრეს-ძე კოლესნიკოვს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის 8) ამხ. ლაშაურთან სამი დღის ვადაში.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. ხეზონი

14/IV	წარმოდგენა 146. სულელი
15/IV	წარმოდგენა 147. სულელი
16/IV	წარმოდგენა 148. გმირთა თაობა

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

თბილისის ზ. ჰ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

14/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 163 კიევის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრის მსახიობების: ზოია გაიდაის (დამს. არტ. და ნ. პლატონოვის მონაწილეობით ეგეგნი ონეგინი
15/IV	მუდმ. ადგ. ტალონი № 164 სევილიელი ღალაქი
16/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 165 კიევის სახოპერის სოლისტების ზოია გაიდაის და ნ. პლატონოვის მონაწილეობით ღაისი

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
5 აპრილიდან დაიწყო დანარჩენი მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა. ამ დღისათვის დაფარული უნდა იყოს ყველა გადასახდელი.

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	დიდი მხატვრული ხმოვანი ფილმი დიდი მოძალე
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ.	სეანსები: ქ. თ. ოქტომბერში—6-30, 8-45, 11
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	„ ქ. თ. სპარტაკში—6, 8-10, 10-20
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	„ ქ. თ. ლუქსემბ.—6-40, 8-50, 11
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91	ახალი ხმოვანი ფილმი განძთა კუნძული დასაწყ. 6, 7-40, 9-20, 11
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ახალი ხმოვ. ფილმი საზღვარს კლიტე ადევს დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ., № 9	ხმოვ. მხატვრ. ფილმი კატერინა დასაწყ. 6-30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვანი მხატვრ. ფილმი მებადურისა და თევზის ზღაპარი დასაწყ. 6-30
	ხმოვ. კინო-ნარკვევი „მურმანი და ტაიმირი“ დასაწყ. 6-30

საქფილეგთი.
თევზის კამპანიასთან დაკავშირებით საქფილეგთის დირექციამ ჩამოაყალიბა მხატვრული ბრიგადები
დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ მიმართონ საგასტროლო საპერიფერიო განყოფილებას. პლეხანოვის პროსპ. № 123
17771 საქფილეგთის დირექცია.

„ჭრანსენერგოკადრის“ საქ. განყოფილება
საჭიროა ინჟინრები და ტექნიკოსები
საწარმოო მუშათა კადრების მოსამზადებლად ელექტრო და ავტოსპეციალობაზე რაიონებში.
პირობების გაგება: თბილისი, ჟორესის ქ. № 25, „ტრანსენერგოკადრი“, დილის 10 საათიდან 3 საათამდე.
70 „ტრანსენერგოკადრის“ საქ. განყ-ბა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

14/IV წარმ. № 148	ნაკერნაკლიდან
15/IV წარმ. № 149	შარი

ენდოკრინოლოგიის და ორგანოთერაპიის უკრაინის ცენტრალური ინსტიტუტი ხარკოვი. არტემის ქ., 10—12
ელენთის ჰიპერტროფიის, ქრონიკული მალარიის, ნაწლავების ქრონიკული ავთონის დროს
ცვლილება
ეკსპრაპი (საელენთე)
იყიდება სსრ კავშირის სანჰიგიენის ყველა აფთიაქსა და მაღაზიაში.
თუ ადგილებზე არ იყოს, მიმართეთ თბილისის საათთაკო სამმართველოს.
100 8—1

საქფილეგთი—ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-02-29
14 აპრილს ტალონი № 96
სახკონსერვატორიის სტუდენტთა მეოთხე თეატრული საღამო საბჭოთა კომპოზიტორებზე
15 აპრილს ტალონი № 97
ახალი ვოდევილების საღამო
ს. მთვარაძის შუამავალი კომ. 2 მოქ.
ა. ბელაშვილის კარიერისტები კომ. 1 მოქ.
დადგმა დ. ალექსიძის
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
გაცდენილი ტალონების გამოყენება შეიძლება. 50

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს
რომ ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შესდეგა
დისერტაციის საჯარო დაცვა
17 აპრილს, დღის 2 საათზე, სოცჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) ექ. გიორგი ნაცვლიშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ყელის და ფილტვების ტუბერკულოზით ავადმყოფებში ნახშირწყლების ცვალებადობა მზისა და კვარცის სხივებით ბკურნალობის დროს მთის მაღალი ჰავის პირობებში“.
ოფიციალური ოპონენტებია პროფ. ნ. ახპიშოვი და პროფ. ი. აბაკელია.
შრომის გაცნობა მსურველთ შეუძლიათ თბილისის სახ. მედინსტიტუტის სასწავლო ნაწილში (ლუნაჩარსკის ქ. № 12, ოთახი 4) საბჭოს სწავლულ მდივან დოც. ვლ. გიორგაძესთან. 40

საქ. ს. ს. რ. მიწსახკომის სას.-სამეურნეო მშენებლ. საპროექტო ტრესტ
„საქსოფლპროექტის“ ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	28003
2	დაუმთავრებელი წარმოება	235454
3	ფულადი სახსრები	43078
4	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	2.9312
5	ანარიცხები სახფინსახკომის	18900
6	სახალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი	5103
7	დანაკარგები	21331
	ბალანსი	571181

პასივი

№ № რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდი ძირითადი და საბრუნავი	70257
2	ამორტიზაციის ფონდი	2886
3	ფონდი დირექტორისა	34672
4	ანგარიშსწორებანი	463366
	ბალანსი	571181

1937 წლის დაბრუნება-დანაკარგების ანგარიში

1.	ზარალი დაპროექტებიდან	37933	1. შემოსავალი დაპროექტებით 21746
2.	უიმედო პირები	5110	2. სხვადასხვა შემოსავალი 1462
3.	სხვადასხვა დანაკარგები	1496	სულ 23208
			3. ზარალი 21331
	ბალანსი	44539	ბალანსი 44539

ბალანსი დამტკიცებულია საქ. მიწსახკომის მიერ 1938 წ. 10 მარტს.
„საქსოფლპროექტის“ დირექტორი თედო გაშვილი. მთ. ბუღალტერი ზვიადაძე 1081

ზისამართი. რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, გაანგარიშების — 3—73 24; ბ.-შის მოსრიგების 3-26 67 გამომცემლობის 3—51—81: სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“ თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1193